# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კანტორა:** [ტფი]ლისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა [ღია] ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73. [წე]რილი დეპეშებისთვის: თბილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:** განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—8 მ. **სამგლოვიარო** განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:** გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მ.

[ცა]ლწადი მექქვსე· ხუთშაბათი, ოქტომბრის 7. 1920 წ. № 115 ფასი 10 მანეთი



## ეროვნულ-დემოკრატიული

**პარტიის მთავარი კომიტეტი**

[გად]ავსებულია კვლავ ძველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.

[მ]დივნის ნახვა შეიძლება დილის 8—12 და ნახ., საღამოს 7—9 საათამდე.

---

[ა]ნნა ოტიას ასული მდივანისა და ვიქტორ ბესარიონის ძე მდივანი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ დღეს 7 ოქტომბერს ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქმნება 40 დღის თავზე წირვა და პანაშვიდი უსაყვარელეს და დაუვიწყარ ასულ

**ნელლის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილ. 10 ს. პანაშვიდი 12 ს. 66 1—1

---

[სა]ხელმწიფო თეატრი

## ოპერა

7 ოქტომბერს

**სევილიელი დალაქი**

მონაწ. ბოიარსკაია, ოვსიანიკოვა, ზალიპსკი, დროზდო—პოლიაკი ისაცკი, ლემიანენკო, ეზროვი, ქურხული

8 ოქტომბერს

**ევგენი ონეგინი**

9 ოქტომბერს

ოპერა მუშებისთვის

**დემონი**

ოპერის დირექტორი: ხ. ი. ევლახიშვილი

---

## ყველას მიერ ცნობილი
### რესტორანი
## ,,ბო-მონდი"
ვარანცოვის ძეგლთან

[გა]იხსნა 26 სექტემბერს საუკეთესო მოწყობილი კაბინეთები, ევროპიულ აზიური კუხნით, რომელსაც ხელმძღვანელობენ საუკეთესო მზარეულები. რესტორანი ღიაა დილის 9 საათიდან ღამის 12 სათამდე. სადილი 12—5 საათამდი. სადილის დროს უკრავს ცნობილი რუმინიის სიმებიანი ორკესტრი—ქორაკა ბ. ქაკას ხელმძღვანელობით.

**ყოველ დღე საღ. 9 საათიდან საოჯახო**

## კონცერტი-კაბარე

საუკეთესო არტისტების მონაწილეობით.

[რე]სტორანში საუკეთესო მოწყობილი ბუფეტი, სადაც მოიპოვება ადგილობრივ და საზღვარ-გარეთული სასმელები და ცნობილი ფირმის ღვინოები.

| | | |
|---|---|---|
| სადილი ორი თავიდან | | 150 მ. |
| სამი | ,, | 200 მ. |
| ოთხი | ,, | 250 მ. |

**სადილისათვის მზადდება ამორჩევით:**

1. შჩი ნიკოლაევის
2. სუპი ,,სანჟერმენი''
3. ქათმის ბულიონი კვერცხით
4. ცოცხალი კარაქით
5. სოკო კვერცხით
6. მარინგო წიწილით
7. ხბოს ხორცი
8. გურიევის ქაშა
9. მოსედიუანი —ატმით.

**საჩუქარი და პროცენტები მოხსნილია.**

შრომის ჯგუფის ,,ბო მონდის'' დირექცია.

3157.

---

## ,,განათლების" საზოგადოების
**სამხატვრო სახელოსნო სკოლა**

20 ენკენისთვიდან უკვე დაიწყო მეცადინობა და იღებს შეკვეთით არშიებს, თეთრეულებს, კაბებს, და ჩულქებს, საქსოვ ჟაკეტებს. ტელ 15—89. 61


## განცხადება.

1-ლ ოქტომბრიდან დაიწყო მოქმედება თბილისში სამონოპოლიო მატყლის საწყობმა, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმათ.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიათ **მომხმარებელ კოოპერატივებს** და სადაც ამნაირები არ არიან—იქ **თემებს** და სხვა **საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

## მომარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

**შენიშვნა:** რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ ,,ცეკავშირისაგან'', რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

**მატყლის ყიდვა-გაყიდვა კერძო პირთაგან აკრძალულია.**

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

**ა) საშუალო ღირსების, გაურეცხავი მატყლი 4,000 მ.**

**ბ) სუფთა—ახალგორის და სხვა რაიონების 4,500 მ.**

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები **ვალდებულნი არიან ადგილობრივ გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

**შენიშვნა:** სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

**მომარაგების სამინისტრო.**

63. 5—1.

---

## მეცხვარეთა საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობას ,,მწყემსს'', რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა ,,მწყემსის'' საშუალებით, იმ ორი ათასი (2.000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობიდან მატყლის ადგილობრიკად საფასურად, მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე, ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდი ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით;

1. მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა, ე. ი. 10 პროც.
2. მეცხვარეს ამხანაგობა ,,მწყემსის'' საშუალებით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. 45 პროც.
3. სახელმწიფოს—მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი, ე. ი. 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ—გარეთის ბაზარზე.—

**მომარაგების სამინისტრო.**

---


## სახალხო სახლი

დღეს სახალხო სახლთან არსებულ ქართულ დრამატიულ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება

## რევოლიუციის. რიურაუზე

ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე

---

ევროპიდან ახლად დაბრუნებული

## ბ-ნი ტიტე მარგველაშვილი

წაიკითხავს ლექციას.

,,სოციალიზმი და ევროპის ეხლანდელი ეკონომიური მდგომარეობა''

თეზისები: 1) სიმდიდრეთა განაწილების პროცესი,
2) წარმოება და მუშები,
3) წარმოების დაცემა,
4) ევროპის დავალიანება,
5) მუშათა კავშირები,
6) სოციალისტური პოლიტიკა,
7) სოციალიზმის მარცხი,
8) საქართველო და სოციალიზმი,
9) საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა,
10) ევროპა და საქართველო (ეკონომიური პარალელი).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონში | კვირას | 10 ოქტომბერს | | | | |
| 2. ჭიათურაში | სამშაბათს | 12 ,, | 6. ლანჩხუთში | კვირას | 17 | ,, |
| 3 სამტრედიაში | ოთხშაბათს | 13 ,, | 7. ოზურგეთში | სამშაბათს | 19 | ,, |
| 4. სენაკში | ხუთშაბათს | 14 ,, | 8. ბათომში | ხუთშაბათს | 21 | ,, |
| 5. ფოთში | პარასკევს | 15 ,, | | | | |

სტუდ. და მოსწავ. კომიტეტი.

---

ფრანკ-პოლონური სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა აღმოსავლეთში

## ,,ფრანკოპოლი"

ამით აცხადებს, რომ ამხან გობის კანტორა იმყოფება შუაბაზარში მანთაშევის ქარვასლაში და ღიაა დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ამხ—ბის დირექტორი **ლეონ ვეისსფელდი**

65 1—1


---

## გამგზავრების სენი.

ჩვენში, ამ ბოლო დროს, ევროპაში გამგზავრების ეპიდემია მძვინვარებს. როგორც ყოველ საქმეს, ევროპაში ხალხის წასვლა-წამოსვლასაც არავინ დარაჯად არ ედგა. არ არის არც გასაგზავნი ადამიანების შერჩევა და არც სამგზავრო თანხის მომჭირნეობა.

ჩვენი რესპუბლიკის ღარიბი ქისა ისე ფართედ არის გახსნილი, რომ ფსკერი გარედ გადმოვარდნაზეა და ფულები მეტად თავისუფლად ცვივა. ჯერჯერობით ვერავინ ხეირით ვერ დაბრუნდა: ვერც კომერციის აგენტი და ვერც დიპლომატიისა. ჩვენი რესპუბლიკის ნივთიერად გაფცქვნასთან ერთად, ამ აგენტების უშედეგო მისვლა მოსვლა მეტად შემაწუხებელია საქართველოს მოქალაქის ზნეობრივი თვითშეგნებისათვის! ჩაიწყობენ მილიარდს და მიდიან, როგორც მაგალითად ეს მომარაგების მინისტრის ამხანაგმა ჩაიდინა. რამდენადაც ვიცით, მას თან არ მიჰქონდა არც ერთ კომპეტენტურ წრეში შემუშავებული გეგმა; ასე რომ უკვე სტამბოლში ჩასულ ბ ნ ჭავჭანიძეს, მინისტრის ამხანაგს, გადაწყვეტილი არ ჰქონდა რა დანიშნულება მიეცა თავისი სტერლინგებისთვის. ჩვენს ქვეყანას მილიონი გასაჭირი უდგას, მაგრამ ყველა ამ გასაჭირის დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელია. ძალაუნებურად საჭიროთა შორის უსაჭიროესი უნდა იქნეს შეძენილი და ჩამოტანილი. მაშასადამე, საჭიროა მკაცრი გაცხრილვა საჭირო შესაძენი საგნების და ყოველი კაპეიკის დანიშნულების, სასტიკად განსაზღვრა.

ხოლო ბ-ნ ჭავჭანიძეს, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს ევროპის ბაზრისა და არც იმ ცოდნა-გამოცდილების, რომელიც საჭიროა რომ ადამიანი სკანდალურად არ დაიჩაგროს ცოტა-გამოცდილებით აღჭურვილ მოპირდაპირეებთან ბრძოლა-მოლაპარაკებაში, ამ ბ ნ ჭავჭანიძეს, რომელსაც, ყველა ამის გარდა, ევროპიული ენების ცოდნაც აკლია, სრული ,,კარტლანში'' აქვს მიცემული და შეუძლიან როგორც უნდა ისე მოიხმაროს ვაი ვაგლახით ნაშოვნი ვალიუტა! რაც ყველამ იცის ეს ის, რომ ჭავჭანიძემ მალცევის წისქვილი უნდა ჩამოგვიტანოს და სტამბოლში ყოფნის დროს მისთვის რჩევაც მიუციათ, რომ ,,შხუნებაც'' შეეძინა, ალბად თუ ამ წისქვილის ჩამოსატანად; ყოველივე ამას კომიკური ელფერი დაჰკრავს, რომ რესპუბლიკისთვის მეტად საზარალო არ იყოს როგორც ნივთიერად, ისე ზნეობრივად!

წარსულთა მდგომარეობა სახარბიელო ჰეიქმნა სხვებისთვისაც. ამას წინად ცნობა იყო რომ ბ-ნი ილ: ქარცივაძეც, გვარდიის შტაბის მომარაგების უფროსი, უცხოეთში მიემგზავრებოდა, ალბად გვარდიის საჭიროებისათვის, დღემდე არ იქნა და ვერ მოხდა სამხედრო ძალების მეურნეობის გაერთიანება, რის გამოც ღარიბ ხაზინას ათეული მილიონი ზედმეტი ხარჯი მოდის.

მეტად სამწუხარო იქნებოდა, რომ ბ-ნი ქარცივაძის წასვლის ცნობა გამართლებულიყო! ბ ნ ქარცივაძეს დღესაც არ ჩაუბარებია ანგარიში მომარაგების მთავარ სამმართველოში მოღვაწეობის დროს ყველა იმ აღმაშფოთებელი ამბებისა და სიშუნიონების შემდეგ, რომელიც მომარაგების სამმართველოში დატრიალდა, ჩვენ საბუთი გვაქვს, სანამ გამოძიებას ყოფილი მომარაგების მთავარი სამმართველოს საქმეები არ გადაურჩევია, შიში ვიქონიოთ ბ ნ ილ. ქარცივაძის ევროპაში სასურსათო მგზავრობის გამო.

სჩანს, მთავრობის თავმჯდომარე ბოლოს და ბოლოს შეშფოთებულა ამ მოვლენებით და რომ მეტი რწმენა და ნდობა ჰქონდეს, რომ ამ გამგზავრებებში ხაზინის ფულიც დაზოგვით დაიხარჯება და ხალხიც უფრო შერჩევით გაიგზავნება, რომ, ერთის სიტყვით,—მთავრობის თავმჯდომარე-მ გამოსცა ცირკულიარი ათი სექტემბერის თარიღით, რომ ,,არც ერთმა უწყებამ ჩემდა დაუკითხავად და ნება დაურთველად არ უნდა გაგზავნოს საზღვარ გარედ თავისი წარმომადგენელი'' ო. რამდენადაც ეს ცირკულიარი შესძლებს და მომავალში ჩვენს რესპუბლიკის აარიდებს ზედმეტ ხარჯებს და მეტ შერჩევასა და სისტემას შეიტანს გასაგზავნ კაცებში, იმდენად იგი ყოველ შეგნებულ მოქალაქეში სრულ კმაყოფილებას იწვევს.

# პურის რევიზიის გამო.

ჩვენ დაიმედებული ვართ, რომ მთავრობის თავმჯდომარის ჩარევა პურის საქმეში, მდგომარეობას გამოაკეთებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია ჩვენს პირობებში. ყოველი მოქალაქე სიამოვნებით წაიკითხავდა მის ბრძანებას, რომელიც შედეგად მოჰყვა პურის დაწზარების რევიზიას. მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება ისიც არ აღინიშნოს რომ ეს ბრძანება სავსებით ვერ აკმაყოფილებს პასუხისმგებლობის მკაცრი მოთხოვნილების პრინციპს. არ კმარა დამნაშავე სამსახურიდან იქნას დათხოვნილი, არც ის ვარგა, რომ განყოფილების უფროსი. მარტო სამსახურიდან იქნეს გადაყენებული, ხოლო მისი ხელქვეითები საპყრობილეში ჩასმული. დღეს ბევრისთვის სანატრელი იქნება, თუ თავის ავკაცობას და ბოროტმოქმედებას მარტო ადგილის დაკარგვით გამოისყიდოს!

ძველ რეჟიმის დროს პასუხისგების სიმკაცრე ჯერ უფროს მოხელეს დაატყდება თავს. ეს არის ერთად ერთი გარანტია, რომ უფროსმა თავის განყოფილებაში ყველა თავისი ხელქვეითი მუდმივი ზედამხედველობის და პასუხისგების ქვეშ იყოლიოს. ეს პრინციპი უნდა იქნეს დაცული. საზოგადოთ და კერძოდ ამ პურის საქმეშიც. გამოირკვა რომ აქ ადგილი ჰქონია მთელ რიგ დაუდევრობას და ბოროტმოქმედებას. ყველა, ვინც ეს ბოროტმოქმედება და დაუდევრობა ჩაიდინა, სასამართლოს უნდა გადაეცეს. სასამართლომ უნდა დასდოს თავისი მკაცრი მსჯავრი ყველა იმას, ვინც საქვეყნო გასაჭირს პირადის დაუდევრობით კიდევ უფრო ართულებს, ან ვინც ამ გასაჭირს პირადი კეთილდღეობის შესაქმნელად იყენებს.

შეუძლებელია ისეთი პირი, როგორიც რუხაძეა, რომელიც სასურსათო განყოფილების გამგე იყო პურის საქმის ყურისგდება, მას შემდეგ რაც მის განყოფილებაში ამდენი ჩნდა, სასამართლოს არ გადაეცეს, ყველა მისი თანამოსამსახურეებით. ამ საერთო ვაკხანალიის დროს თუ რამე გვრჩენის — სასამართლოს ავტორიტეტი და მისი მიუდგომელი ენა.

## პრესა.

„ნორ აშხატავორ"-ი 16 ოქტომბრის მეთაურ წერილში—„ჩვენთან თუ ჩვენს წინააღმდეგ" ეხება რა ოსმალთა შემოსევას სომხეთის საზღვრებში სხვათაშორის სწერს:

„ეხლანდელი ბრძოლა სომხეთისა თავისუფლებისთვის უღრესად რევოლუციური ბრძოლაა, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა იმ ელემენტებმა და ძალებმა, რომელთათვისაც რევოლუციის მონაპოვარნი და თავისუფლება ყველაზე უძვირფასესია. კერძოთ საქართველომ, დღეს სდგას იმავე საფრთხის წინაშე, როგორც სომხეთი. არ გვაქვს საფუძველი, რასაკვირველია, ვიფიქროთ, რომ ოსმალთა ბანდები პატივს სცემენ საქართველოს სუვერენიტეტს, ან და რომ ბოლშევიკები მოითმენენ მათი აზრით „სოციალ-მოღალატეთა" მართველობას, თუ რომ ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ მათი „მოკავშირე" ქემალისტები.

ყველა ძველი ანგარიშები და დაგუბებული ბოღმები ხელახლა იფეთქებენ და საქართველო შეიძლება დაეცეს იმ დაკვრისაგან რომელსაც ეხლა გულს უშვერს მხოლოდ სომხეთი.

ცხადია, რომ საქართველოსთვის სულერთი არ არის როგორ დაბოლოვდება ეს საშინელ ბრძოლა.

სულერთი არ არის აგრეთვე სომხის მშრომელი მასსისათვის, თუ რა პოზიციას დაიჭერს დღეს მისი მომავალი თანამოძმე.

ქართული პასუხის მგზებარე წერილს და პრესას მრავალჯერ ულაპარაკნიათ და უწერიათ სომეხ—ქართველთა დაახლოვების, სამხედრო კავშირის შესახებ.

ვფიქრობთ, რომ დადგა დრო, როდესაც საერთო საშიშროება აიძულებს მათ სიტყვიდან გადავიდნენ საქმეზე.

ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებულნი და ერთი წუთითაც არ ვეჭვობთ, რომ ფაშების ავანტიურას ძალიან მალე მოეღება ბოლო და დამარცხებულ განადგურებული ბანდები თავმოგლეჯით გაეშურებიან არზრუმისა ან ერზინჯასაკენ, მაგრამ ამავე დროს, ვართ რა გულწრფელი დამცველი სომეხ-ქართველთა დაახლოვებისა, გვსურს, რომ ეს მეგობრობა საგაზეთო წერილების ფარგლებიდან გამოვიდეს და ერთ დროს უფრო რეალური გამოხატულება.

ამგვარ თავისუფალს და უანგარო თანამშრომლობას ამ ჟამად აქვს უდიდესი ღირებულება მთელი ამიერ-კავკასიის დემოკრატიისათვის.

თავისუფლების და დესპოტიზმის, რევოლუციის და რეაქციის, სიკვდილის და სიცოცხლის ბრძოლის ამ მძიმე ჟამს თავის რევოლიუციურ პოზიციაზე მდგარი სომხის დემოსი ეტყვის: „ქართველი დემოკრატიას და მასთან ერთად ყველა კეთილშობილ რევოლიუციურ ელემენტებს—ჩვენთან ხართ, თუ ჩვენს წინააღმდეგ".

—

სომხის ხალხს რომ დახმარება ესაჭიროება იმ თავგანწირულ ბრძოლაში, რომელსაც ის ეწევა ოსმალეთის თავდამსხმელთა წინააღმდეგ, ეს ყველასათვის ცხადია. „ნორ-აშხატავორის" ვექილობა საქმეს სრულებით არ არგებს, მით უმეტეს, როდესაც მისი პუბლიცისტები თავის ნაწერებს ირონიით აზავებენ. საქართველო არა ერთხელ ჩავარდნილა დიდს გაჭირვებაში, არა ერთხელ დაუნთხევია თავის შვილთა სისხლი მიწაწყალის დასაცავად კარზე მომდგარ მტრებისაგან, მაგრამ შველა, დახმარებას, თუნდ თანაგრძნობას „ნორ აშხატავორ" ელებისგან არ ჰღირსებია...

სომხეთის ტრაგედია მთელს ქართველ ხალხში თანაგრძნობას იწვევს. იმპერიალისტურ ოსმალეთის თავდასხმას უმწეო სახელმწიფოზე და ისიც უმიზეზოდ გაამართლებს მხოლოდ იმავე განზრახვებით გამსჭვალული ადამიანი! ქართველი ერი მთელი ორწელიწადნახევარი შეუპოვრად იგერიებდა ამ ჯურის იმპერიალისტების გააფთრებულ იერიშებს, ამიტომ ჩვენთვის პსიქოლოგიურადაც გასაგებია სომხეთის გაჭირვება, მისი ხალხის ახალი განსაცდელი...

პატარა სახელმწიფოს, რომელსაც დამოუკიდებლობა მიანიჭა მოვლენათა წყებამ, უთუოდ ესაჭიროება თანაგრძნობაცა და მატერიული დახმარებაც ამა თუ იმ სახით.

სომხეთს ჩვენ დახმარება უნდა აღმოუჩინოდ იმიტომ კი არა, რომ „რევოლუციას" სომხეთისას ეტაკება ოსმალეთის „რეაქცია", როგორც სწერს „ნორ აშხატავორ"-ი, არამედ იმიტომ, რომ ეროვნული თავისუფლება ახალგაზრდა სახელმწიფოისა საფრთხეშია, ხოლო ამ საფრთხის აცდენა თანაბრად არგებს სომხეთსაც და საქართველოსაც.

ყოველს შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: საქართველომ გაბედულად გამოაცხადა თავისი სიმპატია დაჩაგრულ სომხეთისადმი და ერთხმად დაჰგმო ოსმალ-ქემალისტების ავანტიურა.

ასე არ იყო მაშინ, როდესაც გენერალ დენიკინის ლაშქარი, მოაწვა ჩვენს საზღვრებს: მაშინ „პილაჩენი" ხელს იბანდნენ...

—

„ერთობის" მეპრესემ ეხლაც ისევე „ღირსეულად" გვიპასუხა, როგორც წინა ჯერებზე. ამ გაპრაზებულ გვამს პოლემიკის წარმოება მეტად ახირებულად ესმის: „ჩვენ არავართ ჩვეული ვინმეს რამე შევარჩინოთ" გაიძახის ის და ჰგონია, რომ მისი თუ იქნება უკანასკნელი ამოკვნესა, სიმართლეც მასთან დარჩება.

მართალია ჩვენ „საქართველო"-ს ფურცლებზე ხშირად აღვინიშნავს თქვენიანების რესპუბლიკისათვის საზარალო და ანგარებიანი საქციელი, რომელთა დასასჯელად პროკურატურა მუდამ უმწეო ყოფილა, მაგრამ ისიც მართალია, რომ „ერთობა" ამ სუბიექტებს თავის მფარველობის ქვეშ აცხადებდა, რაც მისმა განაყარ ძმამ—„ახალმა სხივმაც" გაუგო... ჩვენ „ვბედავთ ლაპარაკს" იმიტომ, რომ ვხედავთ თქვენს მოქმედებას კახელაძე—რუხაძეების მფარველნო! ჩვენ შემდეგშიაც ვიტყვით, არ დაგერიდებით და არც არაფერს დავმალავთ და ეს-კი თქვენდა სამწუხაროდ იმ დრომდე გასტანს, ვიდრე: 1) საქართველოში არ მოისპობა ის საშინელებანი, რაც ასე მჭერმეტყველურად არის აღბეჭდილი მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებაში და 2) ვიდრე თქვენ არ მოიშლით გათხუპნულ ადამიანების ვექილობას!.

## „ნაციონალისტის"

### პოლიტიკური „ვიმოგატელი"

ბ-ნ ვეშაპელს ქვეყანა იცნობდა, როგორც სკანდალისტს. იძულებული გავხდით და ამ დღეებში საზოგადოებას გავაცანით, როგორც პოლიტიკური „ვიმოგატელი". თუ გააწყვილე, დაგემუქრება და ამ მუქარას თავის „ნაციონალისტში" აღსრულებაში მოიყვანს, როგორც რედაქტორი, ხოლო დამფუძნებელ კრებაში, როგორც დამფუძნებელი კრების წევრი. ყოველგან მისი მიზანია ანგარება და საშუალება—ინსინუაცია. საქართველოს პოლიტიკურად მოღვაწე ინტელიგენციაში ბ-ნი ვეშაპელი შემომღებია და წარმომადგენელი იმ ახალი ხელობის, რომელსაც ჰქვიან პოლიტიკური „ვიმოგატელობა" რა გინდ სამწუხარო არ იყოს, ეს ასეა. ამაზედ შორს ვერ წავა ავადმყოფობის ნიშნები...

ჩვენს მხილებაზე, რომ არსებითად ვერაფერს იტყოდა, შემდეგი წამოისროლა:

და აჰას კი ვერასოდეს ვერ ვიტყვით ეროვნულ-დემოკრატიულ სამინისტრო კანდიდატებზე, ვინაიდან მათ სპეკულიანტურ კოლეგიას, ომისა და რევოლიუციის დროს რომ გამდიდრდა, ოფიციალურად ლიდერობს უდიდესი მექრთამე მთელს საქართველოში „თვითონ" ნიკო ნიკოლაძე.

მორიელი რომ გაბრაზდება, ყველაფერს ჰკბენს: ქვასაც, კაცსაც ცასაც, მიწასაც და თავის კუდსაც. ვეშაპელიც ასე იქცევა...

აბა რა საჭიროა ამის გახსენება, რომ ბ-ნი ვეშაპელი, როდესაც იგი „საქართველოს" რედაქტორი იყო, ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს სთხოვდა გაზეთში წერილები დაესტამბა, რომ გაზეთს საზოგადოების თვალში შემატებოდა...

და დღეს კი ეს ავზნიანი ლლაპი გადმომდგარა და თვისი საცოდავი „ნაციონალისტის" ტრიბუნიდან ნ. ნიკოლაძეს უდიდეს მექრთამეს ეძახეს!! ასე მოიქცევა ადამიანი; რომელსაც ყველაფერი დაუკარგავს გარდა ურცხვობისა. ეს „მორალი", ნამდვილ პოლიტიკური „ვიმოგატელის" მორალია... ამის შემდეგ ჩვენზე სწერს: მაგრამ ეროვნულ-დემოკრატების უბედურება სწორედ იმაშია, რომ არასოციალისტური და ეროვნული ინტელიგენცია არ ამოიწურება „საქართველოს" რედაქციით, რომელიც „ფრასკატის" სარესკიპო ბინაშია დღეს მოთავსებული.

ამ სიტყვების დამწერი რედაქციაში კი არ უნდა იჯდეს, არამედ თავის ბუნებრივ ადგილას: ყვითელ სახლში და ისიც სალახანებ შორის...

# უცხოეთში

### კაჩაზნუნი ამერიკის შესახებ

სომეხთა სამინისტროს თავმჯდომარე რ. გ. კაჩაზნუნი უკვე დაბრუნდა ამერიკიდან და ასეთი შთაბეჭდილებანი გააქვეყნა.

„რაც მინდობილი მქონდა ჩემი მთავრობის მიერ, ძალიან ნაკლები გავაკეთეთ, ამერიკისგან ეკონომიურ დახმარების სახით მივიღეთ მხოლოდ 40 ათასი ტონა ფქვილი, რომლისთვის უნდა გადავიხადოთ სამი წლის განმავლობაში. სესხის შესახებაც ნაკლები გაკეთდა, ვინაიდან იგი „შინაურ" სახის სესხათ იქცა, ე. ი. მასზე ხელს აწერენ ჯერ ჯეროვნით მხოლოდ სომხები. ამერიკის მთავრობამ ჯერ რეალური არა მოგვცა რა. მაგრამ ჩვენ მაინც ვიმედოვნებთ, თუ 20 მილიონი დოლარი ვერ ავიღეთ სესხათ, დაახლოვებით ამდენი მაინც იქნება.

ამ ორი თვის წინად ამერიკამ—ოფიციალურად იცნო სომხეთის დამოუკიდებლობა. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ამერიკა მეტად ძუნწია იცნოს დამოუკიდებლობა ამა თუ იმ სახელმწიფოსი ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, დღემდე მათ იცნეს მხოლოდ პოლონეთისა, ფინეთისა და სომხეთის დამოუკიდებლობა.

ჩვენთვის ფრიად საგულისხმიეროა ის გარემოება, რომ ამერიკელები სიტყვიერად მაინც დიდს ყურადღებას აქცევენ სომხეთს და არაა ასეთი გაზეთი, ან ჟურნალი, სადაც ორიოდ ბწკარი მაინც სომხეთის სასარგებლოდ არ იყოს დაწერილი.

ამერიკაში ამ ჟამად 120 ათასი მცხოვრები სომეხია, რომლის ათი პროცენტი უკვე გაამერიკებულია, ხოლო დანარჩენები ისევ სომხეთის რესპუბლიკის ქვეშევრდომებად ითვლიან თავს.

### ტროცკი რუსეთის შესახებ.

„ეკ. ჟ." საბჭოთა რუსეთის ოფიციოზი გადმოსცემს ტროცკის სიტყვას, სადაც სხვათაშორის, ნათქვამია:

ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს მუშებს დაუმალოთ რუსეთის ნამდვილი ვითარება. უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენი მდგომარეობა მეტად კრიტიკულია, გამოუვალი. ეკონომიური ცხოვრება ასთან და თანობით იწევს, ეცემა, უმთავრესად ტრანსპორტის შემცირების გამო. უნდა ითქვას ისიც, რომ მთელად ჩვენი რეფორმები პოლიატივები გამოდგა. სარკინისგზო კრიზისი ახლოვდება და დღითი დღე მოძრაობის შეწყვეტის მოლოდინში უნდა ვიყვენეთ. ჩვენ ვერ ვიკეთებთ ახალს ლოკომოტივებს და არც თუ იმედია, რომ ახლო მომავალში საზღვარ გარეთიდან მივიღოთ რამე. ჩვენ უნდა გავუმჟღავნოთ პროლეტარიატს, რომ ორი სამი წლის განმავლობაში საშინელ მდგომარეობაში ჩავაგდეთ რუსეთი და მომავალში უარესი იქნება. ჩვენი უდიდესი მტერია შიმშილობა, სისაწყლე სილატაკე, ათასი ავადმყოფობა და სრული დემობილიზაცია. მთელი ჩვენი წინა ალთქმანი ალთქმებად დარჩა და ერთად ერთ მწარე მოტყუებად..." („ეკო და პარი.").

# დღიური.

### ფრანგული ცნობები

**რუსეთ-პოლონეთის ზავი.**

პოლონეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვიტოსი თავის განცხადებაში, რომელსაც ტანი ბეჭდავს, ირწმუნება: მიუხედავათ საბჭოთა მთავრობის მიერ მოულოდნელ პრეტენზიების გამოჩენისა, მაინც სრული იმედი გვაქვს ზავის ჩამოგდებისა.

**შაქარი საფრანგეთში.**

თანახმად უკანასკნელ ცნობებისა 1920 წლის განმავლობაში საფრანგეთის ქარხნებიდან 250,000 ტონი შაქარი დაუმზადებიათ. 1919 წელში კი დაუმზადებიათ მხოლოდ 150,000 ტონი.

**იაპონიის ელჩი პარიზში.**

რესპუბლიკის პრეზიდენტი სამშაბათს დილით მიიღებს იაპონიის ახალ ელჩს ბარონ ისხის, რომელიც მილიერანს თავის რწმუნებულების ქაღალდს გადასცემს.

ლიონი. ხვენის აბრეშუმი.—275—260, იტალიის—270—275, სირიის—250—260, იაპონიის—260—270, ჩინეთის—270—300, კანტონის—200—215.

**გერმანია და საფრანგეთი.**

„ტანი" იუწყება ჟორ ლეიგთან გერმანიის წარმომადგენელის მეიერს დარბაზობის დროს საფრანგეთის საგარეო მინისტრმა გულწრფელად განაცხადა, რომ იგი მილიერანის გზით წავა. გერმანიის ელჩმა დაჟინებით გაუმეორა რამოდენიმეჯერ რესპუბლიკის პრეზიდენტს და საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა ყოველგვარად ეცადოს სისრულეში მოიყვანოს ვერსალის ხელშეკრულება. თუ ასეთია დამოკიდებულება (ოფიციალურ) გერმანიისა,—საფრანგეთი ყოველ ზომებს მიიღებს, რომ ბერლინსა და პარიზის შორის ნამდვილი ზავი არსებობდეს. იქ სადაც გერმანიის და საფრანგეთის ინტერესები ხვდება ერთმანეთს, ყოველი ფრანგი იცნობს იმ ინტერესებს. საჭიროა მხოლოდ გერმანიამ გაიგოს, რომ რადგანაც იგია პასუხისმგებელი მომხდარ კატასტროფაში, ჩვენ ვერ გვაიძულებენ ვერც ეკონომიურ და ვერც თვალსაზრისით ისეთ გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც დიდ მსხვერპლს მოითხოვეს საფრანგეთის მრეწველობიდან და რომელიც სასარგებლო იქნება მხოლოდ გერმანიის მრეწველობისთვის, რაც ხელს შეუშლის და შეაჩერებს საფრანგეთის აღდგენას და აყვავებას. საუბედუროდ გერმანიის პრესის უდიდეს ნაწილის მოქმედება არ არის ისეთი, რომ დაარწმუნოს საფრანგეთი გერმანიის კეთილ სურვილებში და მართლაც უსაძაგლესი ცილისწამება და საფრანგეთის მთავრობასა და ხალხის უშვერად ხსენება არის ჩვეულებრივი თემა გერმანულ ჟურნალისტებისა, რომლებიც შეიძლება უპასუხისმგებლონი არიან, მაგრამ რომელნიც უეჭველად ჰქმნიან გერმანულ საზოგადებრივ აზრს. ჯერ კიდევ გუშინ ჰინდენბურგის 73 წლის თავზე ჰამბურგში, ბერლინში და სხვა იყო წარმოთქმული ირონიით სავსე სიტყვები, რომლებიც აღვიძებდენ სიძულვილს საფრანგეთისადმი და მოუწოდებენ მთავრობას არ მოეყვანა სისრულეში ვერსალის ხელშეკრულება. ძნელი ასეთ პირობებში გულწრფელი ზავის ნიშნების აღმოჩენა, იმ ზავის, რომელიც თავის თავად უნდა არსებობდეს ორ ერს შორის ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენის დროს და როდესაც ვხედავთ ულონო შურისძიების გამომხატველ მანიფესტაციებს ჩვენ არ შეგვიძლია უკუვაგდოთ უნდობლობა გერმანიის სიმართ, რომელიც ასე აცნობებს შეუძლებელ რევანშზე.

### რუსეთის ცნობები.

სამხედრო ცნობა ოქტ. 5. მოლოდეჩნოს რაიონში ჩვენმა ნაწილებმა ახალი პოზიციები დაიჭირეს. მდ. ნემანზე და მდ. უსას რაიონში ოქტ. 3. სასტიკი ომი სწარმოებდა. ვოლინი-ნოვგოროდის რაიონში მდ. სლუჩზე ჩვენი შეტევა სასურველათ ვითარდება. ჩვენმა ჯარმა ბრძოლით ლეტიჩევი და სადგ. დერაჟნი აიღო. დერაჟნის სამხრეთ დასავლეთით 20 ვერსზე ბრძოლაა. ბერისლავის რაიონში მტრის მოწინავე რაზმები დავამარცხეთ, წამოვიყვანეთ ტყვე 47 ოფიცირი და 200-მდე ჯარის კაცი, ხელთ ვიგდეთ 2 ზარბაზანი, 11 ტყვიის მფრქვეველი, 250 თოფი და სხვა. მარიუპოლის რაიონში ჩვენი მოწინავე ჯარი შევიდა.

**სრულიად რუსეთის ახალგაზრდა კომუნისტთა მესამე ყრილობა.**

მოსკოვი. ოქტ. 5 ყრილობის პირველ სხდომას 600 მეტი დელეგატი დაესწრო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ლენინმა. „კომუნისტურ ახალგაზრდობას მოელის შექმნა კომუნისტური საზოგადოებისა. ახალგაზრდობამ უნდა ისწავლოს გამუდმებით ძნელი ხელობა ახალი კომუნისტური წყობილების შექმნისა. ჩვენ წინ, განაგრძობს ლენინი—დიდი მიზანია: ქვეყნის მეურნეობის აღდგენა და მისი გადახალისება, აღდგენა მრეწველობისა და მიწად მოქმედებისა და ეს უნდა მოეწყოს თანახმად თანამედროვე მეცნიერებისა, ტეხნიკისა და ელექტრიონისა, თაობამ, რომელსაც მოუხდება ცხოვრება კომუნისტურ საზოგადოებაში თავის სწავლის მიზნეზი უნდა მიმართოს იქითკენ, რომ ყოველ დღე, ყოველ ქალაქში ყოველ სოფელში სძლოს მან გადასწყვიტოს პრაქტიკულად საერთო შრომის. ესა თუ ის ამოცანა როდესაც კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის 500,000 წევრი გაერთიანებს თავის მაგალითით მთელ კომუნისტურ ახალგაზრდობას, მაშინ მომავალი კომუნისტური საზოგადოება უზრუნველყოფილი იქნება. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ლუნაჩარსკიმ: „კარგი მუშა საქონელია, მაგრამ თუ იგი შეგნებული კომუნისტი მუშაკია, მაშინ ის ახალ ცხოვრების ნამდვილი შემქნელია. კომუნისტური ოქროს მარცვალი დაეცემა საუცხოვო ნიადაგზე, აღზრდის ახალი რევოლიუციონურ მებრძოლებს, რომლებიც განაგრძობენ თავის მოხუც ამხანაგების საქმეს. „აღმასრ. კომიტეტის სახელით ყრილ. მიესალ. ბუხარინი, რის შემდეგაც პირველი სხდ. დაიხურა ყრილობის მეორე სხდომაზე მოისმინეს ბუხარინის მოხსენება: რესპუბლიკის სამხედრო და მეურნეობის მდგომარეობის შესახებ. მოხსენება დიდად გულდასმით მოისმინეს. „კომუნის. ტრუდი" სწერს: ზაფხულის განმავლობაში ვრანგელმა ერთი მეორეზედ გადმოსხა დესანტი. დესანტება გავანადგურეთ. ყაბანი არც შენძრეულა. ახლა ყირიმის ბარონი სცდილობს გაიჭრას მახნოველებასაკენ და გადაკეტოს გზა ყუბანის და სტავროპოლის პურისაკენ, მოგვჭრას ნავთიდან და ხელთ იგდოს დონის ქვანახშირი. მაგრამ რასაკვირველია, ეს არ განხორციელდება. ვრანგელი ვერასდროს ვერ იქნება როსტოვში, როგორც ვერ მოხდა იგი ყუბანში ვრანგელი რაც შეიძლება სასწრაფოთ, ვინაიდან იგი ყუბანში სამხრეთის ეკონომიურ ცხოვრებას. დგება ზამთარი თუ ვრანგელი არ იქნა დამარცხებული ზამთარში რუსის ხალხს სიცივისა და შიმშილას ატანა მოუხდება. შიმშილის და საცივის თავიდან ასაშორებლად ჩვენ უნდა შევინახოთ კავკასიისაკენ მიმავალი გზები, ჩვენ უნდა მოვსპოთ ვრანგელი.

**ვრანგელი უკანასკნელი იმედია.** ფრანგული გაზეთი „ჰუმანიტე" სწერს: საბჭოთა რუსეთი პოლონეთთან ზავის ჩამოგდების შემდეგ ვრანგელს უნდა მიუბრუნდეს, ვრანგელის დამარცხებას კი მსოფლიო მნიშვნელობა ექნება, იგი გამოიწვევს საფრანგეთის იმპერიალისტების მთელი პოლიტიკის დამარცხებას ფრანგი შავირაზმელები შიშით ელიან ზავის ჩამოგდებას, თუ ზავი ჩამოვარდა ფრანგი იმპერიალისტები ყოველგვარედ შეეცდებიან შეუშალონ ხელი ცხოვრებაში მის განხორციელებას და მოაწყონ გაზაფხულისათვის საბჭოთა რუსეთზე ახალი თავდასხმა. ფრანგული სოციალისტური გაზეთი ამტკიცებს რომ საფრანგეთის მთავრობა სცდილობს დაშალოს საზავო მოლაპარაკება რიგაში. საფრანგეთის პრემიერი მილიერანი სცდილობს ჩამოაგდოს შეთანხმება ვრანგელსა და პილსუდსკის შორის. პარიზში კვლავ დაიწყო რუს შავრაზმელების თათბირები.

### საბჭოთა მთავრობის მასიის ცნობები.

**ჩიჩერინის მიმართვა საფრანგეთ. ხალხისადმი.**

რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა საფრანგეთის მთავრობის აცნობა შემდეგი:

მოსკოვი. ოქტომბრის 5 (რადიო). „რუსეთის მუშათა-გლეხთა მთავრობამ ნება დართო რუსეთში მყოფ ფრანგებს, წასულიყვნენ სამშობლოში და იქიდან მომავალ რუსეთის მოქალაქეთათვის არ დაეცადათ. მიუხედავად ამისა საფრანგეთის მთავრობა „რუსეთს" წინააღმდეგ აწყობს ახალ თავდასხმასა და შეთქმულებას. საფრანგეთის მთავრობა თითქმის სამი წელიწადი ცდილობდა რუსეთის რევოლიუცია სისხლის მორევში დაეხრჩო და ეხლაც ეხმარება იერიშისათვის.

საფრანგეთის მთავრობამ ოფიციალურად იცნო რუსეთში ავაზაკი ვრანგელის მთავრობა, რომელმაც თავის ბანაკში შეაგროვა, რუსეთის ხალხისაგან უარყოფილი ყველა ძველი რეჟიმის წარმომდგენელნი. საფრანგეთი აძლევს მას ყოველგვარ დახმარებას, რომ გაილაშქროს მუშათა და გლეხთა რუსეთზე. ყველა სამეზობლო სახელმწიფოებიდან მოდის ცნობა, სადაც არის აშკარა ახალება საფრანგეთის მთავრობის აგენტების გააფთრებული მუშაობის შესახებ, რომელთა მიზანია ახალი სისხლის ღვრა და ომის ჩამოწვევა საბჭოთა რუსეთში.

საფრანგეთის მრავალ რიცხოვანი ჯარი სდგას სტამბოლში და უცდის აჯანყებულთა გამოსვლას რუსეთისა და უკრაინის წინააღმდეგ.

რუსეთის საბჭოთა მთავრობა ულრმეს პროტესტს აცხადებს საფრანგეთის მთავრობის მტრული განწყობილების წინააღმდეგ და საფრანგეთის ხალხს ყურადღებას მიაქცევს რათა ებრძოლოს თავის მთავრობის ასეთს პოლიტიკას, რომელიც მდგომარეობს რუსეთსა და უკრაინის შინაურ საქმეების ჩარევაში. რუსეთს ამდენი აქვს [illegible] ხელს გაუწვდის საფრანგეთის მშრომელი ხალხი და ბოლოს მოუღებს რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიულ პოლიტიკას. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ჩიჩერინი.

**რუსეთის წარმომადგენელი იტალიაში.**

რომი. ენკ ნისტვის 20. რომში ჩავიდა საბჭოთა სოციალისტური რუსეთის წარმომადგენელი ამხ. ვოდოვოზოვი, რუსეთსა და იტალიის შორის სავაჭრო დამოკიდებულების აღსადგენად. სფორცის განცხადებით მოკლე ხანში მოსკოვში ჩავა იტალიის წარმომადგენელი.

**საფრანგეთი და გერმანია.**

ლონდონი. ოქტომბრის 5. (რადიო). საფრანგეთისა და გერმანიის დამოკიდებულების შესახებ „ტანი" სწერს: „ყოველივე რაც კი შესაძლებელია, საფრანგეთი ეცდება გაუადვილოს გერმანიას საფრანგეთის წინაშე თავისი ვალის მოხდა. საფრანგეთს არ ჰსურს გერმანეთის დაღუპვა, თუ კი უკანასკნელის ინტერესები არ ეწინააღმდეგება საფრანგეთის ინტერესებს. გერმანიამ უნდა იცნოს თავისი თავი დამნაშავედ იმ კატასტროფაში, რომელიც მისმა კარისკაცებმა მიაყენეს საფრანგეთს. არც მომავალი ეკონომიური დამოკიდებულების მიზნით და არც სხვა გარემოებით ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მოითხოვს საფრანგეთის მრეწველობისაგან დიდი მსხვერპლის გაღებას, გერმანიის მრეწველობისა და შრომის სასარგებლოდ ეს ხელს შეუშლიდა საფრანგეთის კეთილდღეობის აღდგენას".

**კომუნისტები ფრონტზე.**

სარატოვი. ოქტომბრის 5. (რადიო) საგუბერნიო კომიტეტმა მოახდინა ყველა პარტიული ძალების მობილიზაცია, ზოგიერთ აუცილებელი ელემენტების გამონაკლისით.

**ყირგიზთა რესპუბლიკა.**

მოსკოვი. ოქტომბრის 1-ლს გაიხსნა ყირგისთა ავტონომიურ რესპუბლიკის ყრილობა. ჩამოვიდა 700-მდე დელეგატი. ყრილობამ უნდა განიხილოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, აირჩიოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო.

**ვენგეროვის სიკვდილი.**

პეტროგრადი. გარდაიცვალა ცნობილი ლიტერატორი და მეცნიერი ვენგეროვი.

**ავსტრია გერმანიის შეერთებისათვის.**

ვენა. (რადიო ნაუენიდან) ავსტრიის ეროვნულმა ყრილობამ დაადგინა მოახდინოს პლებისციტი ავსტრიის გერმანიასთან შეერთების შესახებ.

„ფორვერტს"-ი ამის გამო სწერს:

„გერმანული ავსტრია დამოუკიდებლად ვერ იარსებებს, რადგან მას არ აქვს არც ნახშირი, არც სურსათი და თავისი ვალიუტით, რომელმაც ყოველივე ღირებულება დაჰკარგა, ერთა შორის სრული მათხოვარია.

მაგრამ ავსტრიამ მისცა გერმანიის ხალხს უდიდესი მუსიკოსები, მწერლები პოეტები, მეცნიერნი და მსახიობები".

„ფორვერტს"-ი დარწმუნებულია, რომ პლებისციტი, გერმანიასთან შეერთების საკითხს დადებითად გადასწყვეტს, მაგ-

...მაინც შესაძლებელია, რომ ანტანტამ არ მოისურვოს ხალხის თავისუფალი ნების თქმის ცნობა.

„ბერლინერ ტაგებლატი“ სიამოვნებით აღნიშნავს ვესის გარდაწყვეტილებას და მას სახალხო მოძრაობის ძლევამოსილებათ სთვლის.

**ვერცხლისწყლის ახალი მდებარეობის აღმოჩენა.**

როსტოვი. როსტოვის ახლოს, სოფელ ...ლოვში აღმოაჩინეს ვერცხლისწყლის ახალი მდებარეობა.

**პირველი თოვლი.**

კავკავი. ოქტომბრის 5 ს ღამით კავკავში თოვლი მოვიდა.

## ს. დ. ს. ს. გ. ცნობები.

**გერმანიის ჯარის რიცხვი.**

ბერლინი. ენკენისთვის 27. გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, რომ ენკენისთვის 3 რვეულს გერმანიის ჯარის რიცხვი 184,000 კაცს არ აღემატებოდა.

**ხალხის დაბრუნება და მეურნეობა რუსეთში.**

მოსკოვი. ენკენისთვის 25. პრავდაში გამოქვეყნებულია მოსკოვის ჩრეზვიჩაიკის დადგენილების თანახმად დახვრეტილთა ახალი სია. დაუხვრეტიათ სხვათა შორის წინასწარ განზრახვით მიპარულ პურის ყიდვისა და გაყიდვისათვის. „პრავდის“ ცნობით საბჭოთა მეურნეობის მუშები ნახევრად დანგრეულ შენობებში სცხოვრობენ. ისინი დაგლეჯილ ფეხსაცმელებით დადიან. 14—16 წლიანები ხშირად დილიდან ღამემდი მუშაობენ. სკოლები სამეურნეობის ადგილებში და სოფლებში არ არსებობს, არაა აგრეთვე მასწავლებლებიც. მუშები ბნელ და ჭუჭყიან ბინებზე სცხოვრობენ, მუშაობენ მცირეწლოვანი ბავშვებიც. ამ ცნობებს ხელს აწერს „სახოფლო მეურნეობის მუშათა კომის ინსპექტორი შერშოვი.

კამენევის წერილი ლოიდ-ჯორჯს

ლონდონი. ენკენისთვის 23. „ტაიმს“ ბეჭდავს ლონდონიდან მოსულ კორესპონდენციას, რომელშიაც აღნიშნულია რომ კამენევმა რუსეთში წასვლის წინ კანცელარიის და ბრიტანეთის პარლამენტს, აგრეთვე წევრებს, რომლებიც საბჭოთა რუსეთის მიმართ კეთილად არიან განწყობილნი წერილი დაუტოვათ. კამენევი თავის წერილში სწერს: „ინგლისში ჩემი ყოფნის დროს დავრწმუნდი, რომ ინგლისის ხალხს სურს რუსეთთან საზავო მოლაპარაკების აღდგენა. ამიტომ წასვლის წინ მე მინდა აუხსნა ინგლისის საზოგადოებას მიზეზი ჩემი წასვლისა ამტკიცებს ლოიდ-ჯორჯს, თითქმის მას არ სურს აწარმოვოს რუსეთთან საზავო მოლაპარაკება. ლიდებს მას ყოველთვის და იგონებს ახალ მიზეზებს იმისას თუ რატომ არ შესდგა საზავო მოლაპარაკება. დასასრულ სავაჭრო მოლაპარაკება კი შესწყდა იმ მიზეზით, რომ ბრიტანეთის მთავრობა ზედმეტათ სთვლის საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებას. ლოიდ-ჯორჯმა კამენევს ოთხი პირობა წაუყენა 1. მონაწილეობის მიღება რუსეთის ძვირფასეულობის გაყიდვაში, 2. ფულის მიცემა „დეილი გერალდისთვის,“ 3. კავშირი მოქმედების კომიტეტთან, 4. პოლონეთისადმი წარდგენილ საზავო პირობის არა კეთილსინდისიერად გამოცემა. კამენევი თავის წერილში სცდილობს გამართლებას და კატეგორიულად აცხადებს, რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს ძვირფასეულობის გაყიდვასთან. „ტაიმს“ გადმოგვცემს, რომ კამენევის ეს წერილი დაბეჭდილი იყო ლონდონის ყველა გაზეთში გამოიწვია ლოიდ-ჯორჯის ერთ ერთი მდივნის ფილიპ სერ ლამბერის ოფიციალური პასუხი. პასუხში აღნიშნულია, რომ კამენევის განცხადება სიცრუეა. პრესა დაინტერესებულია საკითხით: ეს წერილი კამენევს პირადი წერილია, თუ იგი არის საბჭოთა მთავრობის თანხმობით გამოქვეყნებული დოკუმენტი.

## სომხეთ-ოსმალეთის ომი.

**სომხეთის დიპლომატიური მისიიდან ოფიციალური ცნობა.**

თურქებმა სცადა ყარსის შემოვლა და არტანი-არდაგანზედ თავდასხმა, მაგრამ რესპუბლიკის ჯარების მიერ შეჩერებულ იქმნა.

ალაჩინ-ის ფრონტიდან ოქტომბრის ცნობები არ მოსულა.

მობილიზაციით გაწვეულთა შორის დიდი აღფრთოვანებაა. ყარაკლისში მობილიზაციით გაწვეულთა 60 პროცენტმა სამედიცინო შემოწმებაზე განაცხადეს: ჩვენ უნდა ჩვენი მამულიშვილური მოვალეობა შევასრულოთო.

**მოხალისეები.**

სომხეთის დიპლომატიური მისიასთან არსებული სამხედრო წარმომადგენელი ოქტომბრის 6 ს თბილისში ღებულობდა მოხალისეებს და მათ სომხეთში წასვლამდე მოწმობებს აძლევდა.

**საპროტესტო მანიფესტაცია ვერის ბაღში.**

დილიდანვე მთელი თბილისის სომხეთის სავაჭრონი დაწესებულებანი და ორგანიზაციები დაიხურა. მთელი სომხობას ვანქის ტაძრის გალავანში მოიყარა თავი, ეროვნულ დროშებით, და წითელ ალმებ ით. აზღვავებულ ხალხის წინაშე ორატორებმა აღგზნებული სიტყვები. წარმოსთქვეს სხვათა შორის დიპლომატ. წარმომადგენელმა ბეკზადიანმა. აქედან პროცესია გაემართა სასახლისაკენ.

**დამფუძნებელ კრების წ ნ.**

სრულ 1 საათზე სასახლესთან მოვიდა პროცესია. აქ წარმოითქვა სიტყვები. დამფუძნებელ კრების შენობიდან მეტად დიდი ენტუზიაზმით სიტყვა წარმოსთქვა დამფუძნ. კრების პრეზიდიუმის სახელით თავმჯდომარის ამხანაგმა ალ. ლომთათიძემ, რომელმაც მოუწოდა სომხეთისა და ქართველ დემოკრატიას შეერთებულიყვნენ მოსულ მტრის გასამკლავებლად. ლომთათიძის სიტყვის დასაწყის და დასასრულ შესხმულნი იქმნა ჰიმნი

**მისიებში.**

საპროტესტო მანიფესტაცია სასახლიდან გაემართა უცხო სახელმწიფოთა მისიებისაკენ: ინგლისისა, საფრანგეთის და საბერძნეთისა, საცა წარმოითქვა სიტყვები. ნაშუადღევის 2 საათზე პროცესია დაიშალა. პლაკატებზე ეწერა: „ძირს ომი! გაუმარჯოს სომხეთისა და საქართველოს კავშირს“ და სხვა.

## როგორი პურით იკვებება თბილისი?

**საუბარი ბ. ხუნდაძესთან.**

ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა ბ. გ. ხუნდაძესთან, რომელსაც მინდობილი ჰქონდა პურის საქმის რევიზია.

მე, განსაკუთრებით, იმ გარემოებამ გამაკვირვა, რომ არც მომარაგების სამინისტროს და არც ქალაქის თვითმართველობას არაფერი არ გაუკეთებიათ, რომ კარგი ღირსების პურის მიწოდების საკითხი ჯეროვნად მოეწესრიგებიათ. მოსული ხორბალი, ან სრულებით არ იწმინდებოდა, ან ძალიან ცუდათ.

მომარაგების სამინისტროს სულ ორი სარეკი მანქანა აქვს, რომელთაგან მხოლოდ ერთი მუშაობს, მაგრამ ზედმეტი რომ იყოს ასეთი მანქანები, სათანადო ორგანოები მით ვერ ისარგებლებდენ, რადგან არ აქვთ სათადარიგოთ დამზადებული ხორბალი—მათს საწყობებში სამი დღის სამყოფი ხორბალი თუ იქნება მომარაგებელი.

—რას აკეთებენ მომარაგების სამინისტროს რწმუნებულნი?

— ისინი რომ იმ ინსტრუქციებს მაინც ასრულებდენ, რომელიც სახელმძღვანელოთ ეგზავნებოდათ, პური შედარებით უკეთესი ღირსების იქნებოდა, მაგრამ ამ თავითვე სჩანს, რომ მომარაგების სამინისტროს უმეტესი ნაწილი, ჩვენის თუ ნებისით, არა საიმედო პირნი არიან.

ჩემი გამოკვლევით განაცხადა ბ-ნა ხუნდაძეს, პურის განაგავება 15 პროც. ნაკლები არ არის, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღეთ ტალახი, სილა, ბზე და სხვა მავნე სამთვრალი ბალახები, მაშინ გამოსაცხობ ფქვილში ნამდვილი ხორბლის 40, 45 პროც. არ იქნება.

— ეხლა გადავიდეთ ქალაქის მუშაობაზე ამ საქმეში? პურის გამოცხობის საქმე და მისი მიწოდება მოქალაქეთადმი ქალაქის გამგეობის ხელშია. აქ სრული არევ დარევაა ხორბალთან ერთად ყოველ ნაირ ნაგავს ურევენ.

მაგალითისთვის: ბასინოვის და იაკუბოვიჩის წისქვილებიდან ქალაქის ფურნეში № 3, 30—35 ტომარა ფქვილთან, გამოგზავნილი იყო უცნაური ფხვნილი, რომელშიც პურის ხორბალის ერთი მისხალიც კი არ მოიძებნებოდა.

სასურსათო განყოფილებას და მის ტეხნიკურ ზედამხედველებს სრულებით არ ეინტერესებოდათ, თუ რა ხდებოდა მათს წისქვილებში, სადაც დაუშვებელ ბოროტ მოქმედებას ჰქონდა ადგილი. ბოროტ მოქმედებას ადგილი ჰქონდა ფურნეებშიც, მაგრამ ზოგიერთი მათგანი, როგორც № 2, წესიერად ასრულებდა თავის მოვალეობას.

აუცილებლად საჭიროა რადიკალური ზომები მთელს სასურსათო საქმეებში და მაგარი დამსჯელი ხელი იმ პირთა მიმართ, რომელიც ასეთს პასუხსაგებ საქმეში ბოროტ-მოქმედებას სჩადიან და მით ხალხის ჯან რთელობას დიდ ზიანს აყენებენ.

**ისკანდერ მუნჯის ფელეტონი**

## კაბინეტი.

— არა, ესე არ შეიძლება. კაბინეტი უნდა განახლდეს. განახლდეს, ვიდრე პარლამენტი შეიკრიბება. უკმაყოფილება დიდია. ოპოზიცია ალაპარაკდა. ყველაზედ დიდი უკმაყოფილებაა მომარაგების საქმეზე. საჭიროა, მომარაგების სამინისტროს განახლება. თევზი თავიდგან აყროლდებაო. განახლებაც თავიდგან უნდა დავიწყოთ. სამინისტროსთვის საჭიროა მინისტრი მუყაითი, ენერგიული, მცოდნე მომარაგების მეცნიერებისა. ვინ გვეგულებათ ასეთი? გთხოვთ დაასახელოთ.

— ერაძე.

— ერაძე შრომის მინისტრათ კარგია. ივარგებს მომარაგების მინისტრათ?

— რატომ არა? მომარაგებისთვის დიდი შრომაა საჭირო. ერაძე შრომის დიდი მოყვარეა, მშრომელი ხალხი უყვარს, მომარაგება სწორედ მშრომელ ხალხისთვისაა საჭირო, მომარაგება შრომისთვის და შრომა მომარაგებისთვის. სწორედ ზედ გამოჭრილია. ერაძე ცოტა არ იყოს ყოყმანობდა.

— ძნელი საქმეა მომარაგება. გთხოვთ, ჩემზე გამოცდილი მონახოთ. მე შრომის მინისტრათ ვარ დაბადებული და არა მომარაგებისა.

— არა უშავს რა: იშრომე და ყველაფერი თავის თავათ მომარაგდება.

ეხლა სამხედრო მინისტრი ავირჩიოთ. დაასახელეთ.

— ბენია.

— ვალოდია.

ბენიამ უარი განაცხადა.

— აბა რა ჩემი საქმეა? მე ქალაქის თავათ ვარ დაბადებული.

— ძალიან კარგი. არავითარი განსხვავება არ არის. ქალაქის თავობა, ჯარის თავობა. ზედ გამოჭრილი სამხედრო მინისტრი იქნები.

— რა ვქნა, სამხედრო საქმისა არა გამეგება რა. აღლუმის მიღებაც კი არ ვიცი.

— არა უშავს რა, მალე ისწავლი. მე კაცო, აღლუმის მიღება ისიდორე რამიშვილმაც მოახერხა აფხაზეთში.

— მგონია, ვალოდია უკეთესი იქნეს სამხედრო მინისტრათ.

— ვალოდიაც კარგია. ორთავენი კაი მინისტრები იქნებით. ერთი—მინისტრი, მეორე - ამხანაგი. ერთი ხმელეთის ჯარის მინისტრი, მეორე—საზღვაო.

— მესაზღვაო ვერ ვიქნები. ზღვისა მეშინიან, გემით არ მივლია.

— არაფერია, ავტომობილით ხომ გივლია? სულ ერთია. ზღვაზე ომი არავისთან მოგვიხდება.

— შინაგან საქმეთა მინისტრი დაასახელეთ.

— პარმენი.

— აბა, პარმენი?

— ექიმი პარმენი.

პარმენმა იუარა.

— არა, ამხანაგებო, არ შემიძლიან. სად მე, სად მინისტრობა? მე ექიმი გახლავართ.

— რომელი სნეულებისა?

— შინაგანის.

— ჰო და, მე კაცო! სწორედ შენი საქმეა. შინაგანი სნეულობა, შინაგანი საქმენი. ზედ გამოჭრილი მინისტრი იქნები შინაგან საქმეთა.

— აი, გარეშე, საქმეთა მინისტრის მოძებნა უფრო ძნელია.

— მაგაზე ადვილი რაღა არის? ევგენი სულ რესპუბლიკის გარეშე დაიარება. იმაზე კარგათ ვინ უნდა იცოდეს გარეშე საქმეები? ევროპის სოციალისტებსაც კარგად იცნობს.

— ეხლა იუსტიციის მინისტრი. ეს სულ ადვილი ხელოვნაა, ადვილი და დადებული. „ქმნა მართლისა სამართლისა ხმელსა შეიქმსო ხესა ნედლათ“.

— რაჟდენისთანა მართალი კაცი ვიღა იქნება?

— მართალია. იქნეს რაჟდენი იუსტიციის მინისტრათ.

— შრომის მინისტრათ ვიღა იქნება?

— ვინა და ერაძე.

— ერაძე ხომ მომარაგების მინისტრათ ავირჩიეთ.

— შრომის მინისტრობაც იმას მივანდოთ. შრომა მომარაგებისთვის, მომარაგება შრომისთვის. ვის გაუყვია?

— რომ ვერ მოასწროს?

— მოასწრებს. გოლდმანი დ ეხმარება. ისიც მშრომელი ამხანაგია.

— განათლების მინისტრი?

— განათლებას რა მინისტრი უნდა? განათლება მასწავლებლების საქმეა. მასწავლებლები მოხელენი არიან მოხელეებს კი შინაგან საქმეთა მინისტრ ნიშნავს და ითხოვს. მივანდოთ განათლების საქმე შინაგან საქმეთა მინისტრს.

— სახელმწიფო კონტროლი?

— კონტროლს რა უნდა? სულ ადვილი საქმეა. კონტროლისთვის სტატისტიკაა საჭირო. და სტატისტიკოსი საქართველოში მარტო ფილიპეა.

ფილიპემ არ იუარა. ან როგორ იტყოდა უარს? იმაზე მეტი სტატისტიკოსი რესპუბლიკაში არ აღმოჩნდა.

— ჰო. მიწათ-მოქმედების მინისტრი დაგვავიწყდა. სიკვდილსაც დავიწყებია. მიწათ-მოქმედება და მეურნეობა პირველი საქმეა საქართველოში.

— პირველი კია, მაგრამ ეხლა მიწათ-მოქმედებას რაღა მინისტრი უნდა? აგრარულმა რეფორმამ ყველაფერი მოაწესრიგა და მეურნეობა აყვავდა. ეხლა ყველა გლეხი მიწის პატრონიც არის, ბატონისა და მინისტრისა.

— არა, მინისტრი მაინც საჭიროა. უმინისტროთ რეფორმა ვერ იხეირებს.

— მაშ აგრარულ რეფორმის შემომქმედი დავნიშნოთ მინისტრათ—ამხანაგი ხომერიკი.

— გზათა მინისტრი ვიღა იქნება?

— გზათა მინისტრი? კაცო, გზები ხომ დედამიწაზეა. მაშ გზებიც მიწათმოქმედების მინისტრს ჩავაბაროთ.

ახალი კაბინეტი შესდგა. მინისტრები, ძველებურათ, ჩვენებურათ, შეუდგნენ მუშაობას. უკმაყოფილება ჩაქრა. ოპოზიცია გაჩუმდა.

მაგრამ...

შინაგან საქმეთა სამინისტრო უფრო უპრაქტიკო ექიმის კაბინეთს დაემგვავსა.

იუსტიციის სამინისტროში უსამართლებმა ფემიდამაც კი თვალახვევი მოიხსნა,

მიწად-მოქმედების სამინისტრომ ხალხი სულ მიწას მიაბარა,

გარეშე საქმეთა სამინისტრო მთლიანი საქმეთა გარეშე დარჩა,

გზათა მინისტრი თვით შეუდგა ფეხით სიარულს, რადგან მის რკინის გზებზედ მატარებლები აღარ წავიდენ, ხოლო მომარაგების სამინისტრომ...

ისიც გაანიავა, რაც მომარაგებული იყო.

და დიდი ნოეს წინაშე ისევ სამინისტრო კრიზისი დადგა!

## ბ. ჩხეიძე შვილი

უკანასკნელ დროს ხმა გავრცელდა, რომ თბილისის ქალაქის მოურავი, და ბათომის ოლქის საგანგებო კომისარი ბატ. ბ. ჩხიკვიშვილი სამხედრო მინისტრათ ინიშნება. ბათომის გაზეთი „Эхо Батума“ იუწყება რომ ხსენებულ გაზეთის თანამშრომელთან საუბარში ბ. ჩხიკვიშვილს განუცხადებია: ასეთი წინადადება ჩემთვის არავის მოუმართავს და არც შემიძლია რომ მოვემართო, რადგან ასეთ თანამდებობისათვის საჭიროა შესაფერი მომზადება, რომელიც მე არ მაქვსო.“

## ეროვ. დემოკ. პარტ. მთ. კომიტ. ცნობები.

**მთავარი კომიტეტის სხდომა.**

პარასკევს ოქტომბრის 8-ს საღამოს 7 სათ. პარტიის ბიუროში დანიშნულია ერ.-დემოკ. პარ. მთავარი კომიტეტის სხდომა, რომლის საგანია, საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განხილვა. ყოველი წევრი ვალდებულია დაესწროს.

## სტუდენტ. და მოსწ. მთავარ კომიტეტის ცნობები.

**თბილისის მოსწავლეთა ყრილობა.**

დღეს, ხუთშაბათს, საღამოს 7 საათისათვის, კომიტეტის ბიუროში (სასახლ. № 5 ქართულ კლუბის ეზო) დანიშნულია თბილისის ქალთა და ვაჟთა გიმნაზ. ერ. დემ. პარ. მოსწავლეთა წარმომადგენლების საასწრაფო ყრილობა. მოსწავლეებს ევალებათ წარმოგზავნონ წარმომადგენლები.

**საფაკულტეტო გამგეობათა კრება.**

კვირას, ოქტომბრის 10-ს ღამოს 7 საათ. პარ. მთავარ ბიუროში დანიშნულია სახელმ. უნივერ. საფაკულტეტო გამგეობათა და პოლიტეხნიკურის წარმომადგენელთა კრება.

გამგეობათა ყოველი წევრი და პოლიტეხნიკუმის წარმომადგენელნი ვალდებულნი არიან აუცილებლივ დაესწრონ.

# ახალი ამბები.

**სამინისტროებში.**

ფინანსთა სამ. ნ. ხერ-ში. საბჭოს შემოსავალი. თანახმად ფინანსთა სამინისტროს ცნობებისა მიმდინარე ხარჯით ანგარიშის წლის განმავლობაში თვედაპირველად საბაჟო შემოსავალი 817 388 მანეთს არ აღემატებოდა. ამა წლის მარტში, როდესაც შემოსატან საქონელზე ახალი საბაჟო გადასახადი დაწესდა, შემოსავალი ორჯერ გაიზარდა. აპრილში შემოსავალმა 10 მილ. მანეთამდი მიაღწია, მაისში კი 11 მილ. მან გადააჭარბა. ივნისში შემოვიდა 13 მილ. მან. ივლისში დახლოვებით 30 მილ. მან. და დასასრულ აგვისტოში საბაჟო გადასახადის სახით შემოვიდა 48.592.389 მან.

— **მიწად მოქმედ. ს სამინ სტროში.** მიწად მოქმედების სამინისტროსთან არსებული საავარაკო კომისია რაჭაში გაემგზავრა. კომისიის მიზანია შეისწავლოს და გამოარკვიოს უწყრის, გლოლასა, ურისა, და წესის მადნეული წყლები.

— **მეტრიულ სისტემის შემოღება.** ზომისა და წონის პალატამ ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს საქართველოში ზომის მეტრიკულ სისტემის შემოღების შესახებ პროექტი წარუდგინა, პროექტში აღნიშნულია, რომ საქართველო დაუკავშირდა ევროპას, ამიტომ ვაჭრობა-მრეწველობის მხრივ საჭიროა საერთო ენის შემოღება, რომლისაც შეუძლია სხვა და სხვა ქვეყნებთან დამოკიდებულების შემსუბუქება. ამისათვის საჭირო საშუალებს დამზადება შეიძლება აქვე საქართველოში მხოლოდ ზოგიერთების გამოკლებით. ამ სისტემის ცხოვრებაში, გასატარებლად პალატას საჭიროდ მიაჩნია: 1) მიაწოდოს საზომის და საწონის მეპატრონეთ მეტრიული სახის გირები, 2) გამოცეს საგანგებო გარდამავალი კანონები რათა რეფორმა უმტკივნეულოდ გატარდეს 3) მოხდეს ხალხში აგიტაცია ახალ სისტემის. შემოღებას 1921 წლის იანვრიდან სთვლის სასურველად. 1923 წლამდე ახალი რეფორმა საბოლოოთ უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში. ამიტომ უნდა გამოიცეს საგანგებო დროებითი წესები, რომლითაც დადგენილი იქნება, რომ 1923 წლიდან რუსული ზომა ხმარებაში აღარ იქნება.

**თვითმართველობა.**

— **ქალ. ბორჯომის შუამდგომლობა.** ბორჯომის ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე მიაწოდონ ბორჯომს პური, ან და მას ნება დართონ და თვით ქალაქმა გამოიტანოს თვისივე საშუალებით პური-მოსავლიან ადგილიდან. მომარაგების სამინისტრომ ქალაქ ბორჯომის თვითმართველობის შუა შუამდგომლობა დააკმაყოფილა. გორში მყოფ სამინისტროს წარმომადგენელს ეცნობა, რომ ბორჯომს უფლება აქვს გაიტანოს გორის რაიონიდან მისთვის საჭირო პური.

**სხვა და სხვა**

— **ხეთა ზუგდიდის რკინის გზა** ფოთისა და ბათომის ნავთ-სადგურებსა და ხეთა-ზუგდიდის რკინის გზაზე მუშაობის გასაცნობად გაემგზავრა გზათა უწყების დეპარტამენტის დირექტორი გვარამაძე. შვებულებიდან დაბრუნდა და თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა გზათა უწყების დეპარტამენტის დირექტორი ბ. ჭიჭინაძე. დირექტორი იღებს მთხოვნელებს ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 10 12 წ. საათამდე.

— **რკინის გზებზე.** რაიონის გზის სამმართველომ გამოაქვეყნა რაიონის გზის მოძრაობის შესახებ ორი წლის ანგარიშები. მიმდინარე წლის დასაწყისში სამგზავრო მატარებლები უფრო მეტი იყო, ვიდრე მშვიდობიანობის დროს 1919 წ. მაისიდან 1920 წ. მაისამდი ჩვენი სამგზავრო მატარებელი ევლახამდი დადიოდა და ეგრეთვე ამერიკის საქონელი მიჰქონდა გუმბრამდი. უცხოეთის ტერიტორიაზე მოძრაობისაგან ჩვენს სახელმწიფოს დიდი შემოსავალი ქონდა. 1919 წელში ორთქლმავლების იჯარით გაცემისაგან საქართველოს შემოსვლია 9 მილიონი მანეთი. უცხოეთის ტერიტორიაზე ჩვენი მატარებლები მოძრაობას მიუცია 55 მილიონი მანეთი.

— **გორის აღდგენა.** გზათა უწყების დეპარტამენტს აუწყებენ, რომ გორის რაიონის გზის სადგურისა და გორისა და ქარელის წყლის შესანახის აღსადგენად სწარმოებს სასწრაფო მუშაობა. მუშაობის გასაძლიერებლად და გასანოყიერებლად აღძრულია შუამდგომლობა ამ საქმეში მომუშავეებისათვის რაციონის მიცემის შესახებ.

— **წითელი ჯვრის საზოგადოება.** წითელი ჯვრის გამგეობასთან დაარსდა მოწყალე დათა საზოგადოება. საზოგადოებაში ოცი მოწყალე და მიიღება. წესდების დამტკიცებამდე ...შავა დროებითი დებულებამ. მოწყალე დებმა უნდა იცოდენ სახელმწიფო ენა და უნდა დაემორჩილონ წითელ ჯვრის საზოგადოების წესდებას.

— **ქალაქთა კავშირში.** ქალაქთა კავშირთა კომიტეტმა დაავალა მედიკო სანიტარულ განყოფილებას გამოიკვლიოს საკითხი, თუ რამდენად შესაძლებელია სურამის ცენტრალურ კლიმატიურ სადგურის და მთელი რესპუბლიკისათვის ცენტრალურ საავადმყოფოს დაარსება.

## გ ა გ რ ა.

(საკ. კორესპონდენტისაგან.)

აჯანყებულთა ბარბაროსული ლიკვიდაციამ, რომლისთვისაც რუსეთიდან საგანგებოდ იყო გამოწვეული ბოლშევიკური დამსჯელი რაზმი, და მათმა რეპრესიებმა ხალხს მოთმინება დაუკარგა. გადასწყვიტეს რითაც არ დაუჯდებოდათ მაინც ბოლშევიკები გაეძევებინათ გაგრიდან.

ამ გარემოებამ აიძულა ადგილობრივი მცხოვრებნი დიდიან-პატარიანად აყრილიყვნენ და აიბგისა და კარდივაჩის მთებს შეფარებოდენ. დღეს ეს მიუვალი კლდე-ღრეები სავსეა თავიანთ საცხოვრებელიდან აყრილი ხალხითა და საშინელ წყურვილს განიცდიან. ყოველი ახალი და უცხო ადამიანის ნახვა აფრთხობს მათ, როგორც გარეულ ნადირებს. ვინ არ არის მათ შორის: ქართველი, სომხები, რუსები, ყაზახი, ინგუში, ბერძენი ჩერქესი თუ ჩეჩენი. ყველა ესენი სცხოვრობენ ველურ ტომების მზგავსად.

მათ აქვთ თავისებური კანონი, წესი და ადათი. ასეთს პირობებში მცხოვრებს 12 ათასი კაცი. უკანასკნელი ცნობების თანახმად მათ დაიკავეს ადლერი.

## უწესოება რკინის გზით მგზავრობის დროს.

სათბობი მასალის ნაკლებობის გამო, ყველამ იცის, რომ მატარებელთა შემადგენლობაცა და მათი რიცხვიც საგრძნობლად შემცირებულია. ამის გამო ყოველ მატარებელს უამრავი ხალხი აწყდება და მრავალიც კიდევ უადგილობის გამო რჩება.

ასეთ მოვლენასთან ბრძოლა ზემოაღნიშნული მიზეზის გამო ერთობ ძნელია, მაგრამ რკინის გზის ადმინისტრაცია რომ საკმარისი თაოსნობით იყოს აღჭურვილი, მას შეეძლო მგზავრთა გაჭირვებული მდგომარეობის ოდნავად მაინც შემსუბუქება;

დღეს მგზავრთა თითქმის 25—30 პრ. შეადგენს თვით რკინის გზის მოსამსახურეთა კონტინგენტსაც იმ დროს როდესაც კუპეში, კარიდორშიაც კი ნემსის სატევი ალაგი არაა. არც ერთ სახელმწიფოში და არც ერთი წესწყობილების დროს იმდენ უფასო მგზავრობას ადგილი არა ჰქონია, როგორც საქართველოში აქვს. ყოველ რკინის გზის მოსამსახურეს უფლება აქვს უფასო ბილეთით იმოგზაუროს და ბევრი მათგანი ესაჭიროება თუ არ ესაჭიროება, რაღაი არასფერს იხდის, არ უშვებს შემთხვევას, რომ არ იმოგზაუროს. ამიტომ ისედაც შევიწროებული დღევანდელი მოგზაურობა უფრო გასაჭირი ხდება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რკინის გზის ადმინისტრაციას შეუძლია მოსამსახურეთა ამ ამ დენ მოგზაურობას რაიმე საზღვარი დაუდვას და ამით გაამარტივოს მიმოსვლის საქმე მოქალაქეთათვის.

მაგრამ ვსთქვათ, ეს შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში იმას მაინც უნდა მოელოს გზათა სამინისტროს მიერ ბოლო, რომ დასაწოლი თუ დასაჯდომი ადგილები ვაგონებში პირველ რიგში იმათ მიეცეს, ვინც სამგზავრო ბილეთის ფულს იხდის, თორემ გამოდის, რომ ის პირა, ვისაც უფასო მგზავრობა შეუძლიან, მეტის შეღავათით სარგებლობს ვიდრე ფასიანი მგზავრი. უფასო მგზავრები არც ფულს იხდის და ისეთი პრივილეგიითაც სარგებლობენ, როგორიც არის ადგილის პირველ რიგში დაკავება ეს მით უმეტეს უფრო ადვილია მათთვის რომ პერონზე პირველ ზარამდე გასვლაც შეუძლიანთ და ვიდრე ვაგონები კიდევ არ ჩამოყენებულა, თვით პარკშივე იკავებენ ზევითა ადგილებს, რასაც მათი ნაცნობობაც ხელს უწყობს. სხვა რომ არა იყოს რა, ეს დიდი უსამართლობაა და მგზავრების სამართლიან გულის წყრომასაც იწვევს.

ამიტომ საჭიროა, რომ გზათა მიმოსვლის მინისტრმა გამოსცეს სათანადოდ განკარგულება ასეთი უსამართლობის ასაგველად: 1) უნდა შემცირდეს უფასო მგზავრთა რაოდენობა, რაც სახელმწიფოს მეტ შემოსავალს მისცემს და 2) უფასო მგზავრს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოს დასაწოლი თუ დასაჯდომი ადგილის დაჭერა, როდესაც დაკმაყოფილებულ იქნება ფასიანი მგზავრის მოთხოვნილება.

მოქალაქე.

# ჩვენი კორესპონდენტები.

## ხ ო ნ ი.

მეტად რომ ხდება ჩვენს რესპუბლიკაში ხალხისთვის მიუღებელი, მაგრამ ამ მხრივ ხონი ყველა სხვა კუთხეს გაცილდა და არ ვფიქრობთ, რომ რესპუბლიკაში სადმე კიდევ ხდებოდეს ის, რასაც ადგილი აქვს ხონში. ხონის მოქალაქენი დიდხან რევოლიუციის დაწყებისა და ხონის ქალაქად გამოცხადებისა იტანენ ყოველგვარ უსამართლობას. მათ მწარე ყვირილს, პროტესტს არ ვაუწია ანგარიში, არც მთავრობამ და არც დამფუძნებელმა კრებამ.

მე მინდა გავაცნო მკითხველებს, რა მდგომარეობაშია ჩაყენებული ხონელი მოქალაქე, რომელიც იმყოფება ყოველ სამართლიანობის მოკლებულ პირების ხელში. ასეთმა მდგომარეობამ ხონის მოქალაქენი აიძულა ეთხოვათ მთავრობისათვის, რათა გაუქმებულიყო ხონი როგორც ეს ქალაქი. ნაბიჯი გადადგმეულნა მოქალაქეებს სხვა მიზეზებთან ერთად, ქალაქის მამების ყოველგვარ სამართლიანობის მოკლებულმა მოქმედებებმა. მაგრამ ყველა ასეთი ჟრჩი მოქალაქენი მონათლენ კონტრრევოლიუციონერებს და მთელი თვეობით იგემეს ციხის კედლები. ხალხი მოითხოვდა მაშინ გამგეობის წევრის ილია რუხაძის გადაყენების. ილია რუხაძე პარტიულ ამხანაგებმა შეატანიეს სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი. მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, რომ ილია რუხაძემ ,,ამხანაგების'' დახმარებით საუკეთესო ადგილს ამოყო თავი, ასე ,,ისჯება'' დამნაშავე ჩვენს რესპუბლიკაში. შეიქვთ შეკითხვა დამფუძნებელი კრებაში; ჩამოდის ხონში დამფუძნებელი კრების წევრი ალ. ასათიანი ცნობების შესაკრებად. ადგილობრივი ადმინისტრაციის უსამართლობას ამოწმებენ მრავალნი და სხვებთან ერთად ასეთს ჩვენებას აძლევს მას უბნის კომისარი ყუფარაძე და უფროსი მილიციონერი გოდერიძე. ქალაქის თვითმართველობა მათ ამ მართალი ჩვენების გამო სამსახურიდან ითხოვს. გაბედე ამის შემდეგ მათ წინააღმდეგ რისიმე თქმა. ხმოსანთა საბჭო ადგენს გადახდეს ხონის მოქალაქეთ სანიტარული გადასახადი ერთი მილიონი მანეთი. როგორ განაწილდეს ეხლა ეს თანხა. მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ საბჭოში ამის შესახებ ქალაქის თავის მიერ გაკეთებულ მოხსენების შემდეგ სიტყვებს, რომელიც ოქმშიც შეატანიეს:,, განვათავისუფლოთ გადასახადისაგან მცხოვრებთა 75 პროცენტი გადავახდევინოთ მხოლოდ 25 პროცენტს: ამით ჩვენ მოვიგებთ უმრავლესობის გულს და გადასახადი დააწყდება თავს ვაჭრებს, რომლებმაც აგვიმხედრეს ხალხი; ამით ჩვენ და ისინი დავისჯით-ო. ასედაც გადაწყდა:— გადასახდელნი არიან მხოლოდ მცხოვრებთა 25 პროცენტს. აღსანიშნავია, რომ მათს პარტიულ ამხანაგებს ვაჭრებს ნაკლები ქონდათ შეწერილი სხვებზე. ზოგმა გაბედა და თხოვნა შეიტანა გამწერ კომისიაში რათა შეემცირებიათ გადასახადი სიღარიბის გამო. აქ მოხდა განსაცვიფრებელი რამ: თხოვნის შემტანს 2—3 ათასი მეტი შეაწერეს წინანდელზე ისინი დააჯარიმეს!

ქალაქის საბჭომ თავის სხდომაზე დაადგინა გადახდეს ადგილობრივ ვაჭრებს 500 ათასი მანეთი, მაგრამ ქალაქის საბჭოს საუბედუროდ ამ დროს ვაჭრები უკვე გონზე იყვნენ მოსული და ქონდათ თავისი ორგანო „ვაჭართა საბჭო“, რომელმაც გამოიკვლია ამ გადასახადის კანონიერება და გამოარკვია, რომ ეს გადასახადი არ ეკუთვნოდა ვაჭრებს და ამის გამო მან დასაბუთებული უარი გამოუცხადა ქალაქს, რის შემდეგ ქალაქის საბჭო იძულებული გახდა მოეხსნა ეს გადასახადი. ვინ იცის, შესაძლებელია დაბოროტი ენები ამბობენ კიდეც რომ, ბევრი ასეთი უკანონო და არა მართებული გადასახადი გადახდათო მცხოვრებლებს, მაგრამ ვინ იყო გამკითხავი ქალაქის საბჭომ დაადგინა სახალხო სახლის სასარგებლოდ ყველა წარმოდგენის შემოსავლიდან აღებულ იქნას 10 პროცენტი.

როგორ მოდის სისრულეში ეს დადგენილება? თუ წარმოდგენა იმართება სოც.-დემოკრატთა სასარგებლოთ, მაშინ ან სულ არ აიღებენ და თუ აიღეს, აიღენ არა იმდენს, რამდენიც დადგენილია, არამედ ბევრად ნაკლებს. ამის საბუთები ჩვენ გვაქვს. მილიციის უფროსის თანაშემწე ძველადაც და ეხლაც „ცნობილი“ მებუკე ამ გადასახადებს თავის შეხედულებით აკრეფს, რასაკვირველია იმის და მიხედვით, აქვს თუ არა წარმოდგენის ფინანსიურ მხარეს რამე კავშირი მისი მწყალობლის ქალაქის გამგეობის „ამხანაგებთან“, როგორ ხდება ქალაქის მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატება, ამას შემდეგი მაგალითი ამტკიცებს. ქალაქის საბჭოში გამგეობა მოხსენებას აკეთებს, რომ გამგეობის წევრებს მოემატოთ მეტი პროცენტი და მოსამსახურეთ კი ნაკლები. და ასეც გატარდა. ბევრს გაჰყვირიან დემოკრატიაზე, მაგრამ მათი დემოკრატობა, როცა საკუთარ კუბეს შეეხო საკითხი, სულ სხვა ხასიათის გამოდგა ერთ რამეს კი ვერ დაუკარგავთ მათ. მათ შეძლეს ქალაქის განათება ყოველ დუქნ. წინ ფარანი ია ჩამოკიდებული არ იკითხავთ როგორ ორაა ეს. სულ ადვილად. საჭირო მხოლოდ ბრძანება. უბრძანეს ყოველ მოვაჭრეს შეეძინა საკუთარი ფარანი და თავის ნავთით აენთოთ ყოველ ღამე. მოდი და ნუ შეასრულებ ბრძანებას. არამც თუ ეს, უპატრონო მკვდარსაც კი ვერ მოუარეს, იმიც ვაჭრებს დაამარხეს.

ერთი კიდევ საგულისხმო: დაჰპირეს სიმინდის მოტანა, მოაგროვეს ფული; ყველამ სიამოვნებით შეიტანა ფული. რადგან დაჰპირდენ იაფ ფასებში მიცემას მოიტანეს კიდეც და რა მოხდა; როცა ფულის შემომტანნი მივიდნენ სიმინდის მისაღებათ, თვითმართველობამ, ისინი უარით გაისტუმრა. ფული კი რამოდენიმე თვის შემდეგ დაუბრუნეს. მიზეზი ჩვეულებრივი უფრო ,,ღარიბებს'' დაურიგდათო. ბოროტი ენები ამბობენ რომ გამანაწილებელ კომისიის ერთ-ერთმა წევრმა ,,მიწის მუშათა კავშირის'' ერთი უბნის ორგანიზაციის თავმჯდომარემ კარგად ისარგებლა, მკვდარი სულების სახელით გაიტანა სიმინდი, მაგრამ ნაწილი ერთ ერთ დუქანში უნახესო.

მეორეჯერ გადაწყვიტეს კიდევ სიმინდის მოტანა. ერთხელ მოტყუებულ ხალხმა მეორედ არ შეიტანა ფული. ფულისთვის მიმართეს ვისაც მუდამ ალანძღვენ ისევ ვაჭრებს. მათ სიამოვნებით გაიღეს ფული, რათაც ქალაქმა მოიმადლიერა გამწყრალი ,,ამხანაგები''.

აზერბეიჯანი დაიკავა კომუნისტებმა. გამოცხადდა მათთან ომი. მოვიდა 1 მაისიც, გამოვიდენ ორატორები, რომელთა უმრავლესობა სიხარულს გამოთქვამდა ,,სოციალისტების'' მთახლოვების გამო, მაშინ როცა საჭირო იყო ბუკი და ნაღარა ხალხის მოსაწოდებლათ ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ქალაქის საბჭოს ხმოსნობაზე უარი განაცხადა ეროვნულ-დემოკრატიის სიიდან ერთმა. წერილობით განცხადება კი შეიტანეს. ორივე განცხადების მიღებაზე, უარი უთხრა საბჭომ ,,არ მიგვიღია''. ქალაქის თავი იქ იჯდა. ეს განცხადებები მას პორტფელში ედო და ხმას არ იღებდა. რაშია საქმე? იმდენი არაფერი მხოლოდ ის, რომ დრო გაეგრძელებიათ არ მეწვიათ შემდეგი კანდიდატი და საბჭოში ხსენებულ ფრაქციას რამოდენიმე ხანს მაინც არ ყოლოდა წარმომადგენელი. ყველა ეს არაფერია მასთან შედარება რაც დატრიალდა გარშემო ასეთი კავშირი ჩვენს რესპუბლიკაში არ არსებობდა წინად. ეს დაარსდა ხონში და დღესაც არ გასცილებია ხონის რაიონს. ეს ადვილი ასახსნელია. ხონი რის ხონია თუ იქ ყველაფერი თავისებური არ იქნა.

ამ წლის იანვარში ხონში გააკრეს დიდი ბეჭდილი მოწოდება, რომელსაც ხელს აწერდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ქალაქ ხონის ივანდიდის უბნის კომიტეტი. რას შეიცავდა ეს მოწოდება? დაახლოვებით შემდეგს: „ჩვენმა მთავრობამ ჯერ კიდევ ვერ შეძლო სავსებით უზრუნველყოფა მუშათა კლასისა. ბევრი რამ ჯერ კიდევ მდიდრებს ხელშია. მათ დიდი ნორმა დაუტოვეს. საჭიროა შემცირება ნორმისა. ჩვენ ეს უნდა მოვთხოვოთ მთავრობას. არიან ბევრი ისეთნი რომელთაც 5 ქცევაზე მეტი მიწა არა აქვთ. მათ ეს არ ყოფნით. ჩვენ საშუალება უნდა მოუსპოთ მდიდრებს თავის მიწის თავისუფლად მოხმარებისა. უნდა შევკავშირდეთ მიწის დასამუშავებლათ და ბრძოლა გამოუცხადონ მესაკუთრეებს. საჭიროა დაარსდეს კავშირი, რომელმაც მესაკუთრეს დაუკითხავად გასცეს თავის წევრებზე მიწა. მემამულეს უნდა ჩამოერთვას იმდენი, რამდენსაც გადაწყვეტს კავშირი. მიწის ღალის რაოდენობის მიცემაც მესაკუთრეზე კავშირის საქმეა. ასეთი კავშირი არსდება ივანდიდში და მოუწოდებთ ყველას დაარსონ ამგვარივე სხვა ადგილებშიცო. ცნობებისთვის მიმართეთ ივანდიდის კომიტეტს და სხვა. ასეთია მოკლედ შინაარსი ამ მოწოდებისა. მართლაც, ივანდიდის უბანში ქალაქისთავის მეუღლის ქ-ნ ნადეჟდა გალდავაძის ხელმძღვანელობით შეიკრიბენ „ამხანაგები“ და დაარსეს ეს კავშირი. ამავე ქალბატონის წყალობით დაარსდა ეს მაცხონებელი კავშირი ხონის რაიონის სხვა კუთხეებიც; ხელი შეუწყო ამაში მობოლშევიკო ვარლამ ხუროძემ. ქალბატონი გალდავაძისა შეუთვლიდა სოფლის კომისარს მოეწვია ხალხი კრებაზე. დანიშნულ დროს ეს ქალბატონი დაჯდებოდა „კაბრიოლეთზე“ და გაემგზავრებოდა საყვარელ საქმის საქადაგებლად. ეს ქალბატონი ცნობილი ნიროვნებაა დღეს ხონის რაიონში და მეტად არ მიგვაჩნია ჩვენს მკითხველებსაც გავაცნოთ. ის ქალაქის თავის, ბატონ ვალერიან გალდავაძის (ყოფილი ბოლშევიკის) მეუღლეა. ამავე დროს საბჭოს ხმოსანი და მეციხნია, ასე რომ ქმარი ქალაქის თავია, ცოლი მდივანია და ამბობენ, თუ ღმერთმა ბოვშები კარგათ უმყოფათ, გამგეობის წევრებათ დანიშნავენო. წინად ეს ქალბატონი ოფიციალურათ იყო „ბოლშევიკი“ და დღეს მხოლოდ საქმით არის ის, აი, ამ „პატივცემულ“ ქალბატონმა გადაწყვიტა „კლასთა ბრძოლის გაღრმავება“ და ის როლი მან ჩინებულად შეასრულა. საზოგადოების ერთი ნაწილი მშვენივრად წაჰკიდა მეორეს. აი ქალბატონი ბრძანდება დამაარსებელი იგივე წოდებულ „მიწის მუშათა კავშირისა“ ამ კავშირს ყველაფერი უფლება აქვს, თუმცა ის ოლქის სასამართლოში კავშირთა რეგისტრაციაშიც კი არ არის შეტანილი. რაც უნდა ჩაიდინონ ამ კავშირის წევრებმა, პასუხს ვერა არ მოსთხოვენ. ამათ გამოუცხადეს სასტიკი ბრძოლა მესაკუთრეებს. ავწეროთ მოღვაწეობა ამ კავშირებისა.

(შემდეგი იქნება)

ადგილობრივი.

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: სპ. კედია.

სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3-მე კურსელი

### სტუდენტი იღებს

## გაკვეთილებს

იკითხეთ ეროვნულ დემოკრატიულ ბიუროში, დამფუძნებელი კრების ქ. № 5 დილის 8—1 საათამდე. უფ.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო მეთვალ-ექიმი

## ი. გ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავად მყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთათს (საპის) ვკვლევ მალეინის შეხაპუნებით. ჰკითხ ცხვრის ხახულე—მ ლის ავთმყოფობას ვქიმობ „ნე მანის და ვესსელის“ მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას „ზოოტეხნიაზე“ (საქონლის მოვლა მოშენება).

დილის 9—10 საათ. და დღის 2—4 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2.
თვ. 43

## სამკურნალო

ელექტრონის რენტგენის და სინათლის

## მიხეილ გედევანიშვილისა

დღისით 12—2 საათ. საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. 3102. თვ.

## მატარებლის მიმოსვლა.

### თბილისიდან მიდის.

| | | |
|---|---|---|
| ბორჯომამდის | № 17 | 7. 52 |
| ბორჯომში ჩადის | | 2. 09 |
| ფოთამდის | № 3 | 9. 56 |
| ფოთში ჩადის | | 10. 20 |
| ბორჯომამდის | № 19 | 2. 30 |
| ბორჯომში ჩადის | | 8. 00 |
| ბათომამდის | № 17 | 8. 00 |
| ბათომში ჩადის | | 9. 00 |
| ბათომამდის ჩქარი | № 5 | 11. 44 |
| ბათომში ჩადის | | 11. 27 |
| თელავამდის | | 8. 30 |
| ქუთაისამდის | № 9 | 9. 50 |
| ქუთაისში ჩადის | | 6. 00 |
| სანაინამდის | | 1. 40 |
| სალ-ოღლამდის | | 10. 10 |

### თბილისში მოდის.

| | | |
|---|---|---|
| ბორჯომიდან | № 20 | 12. 30 |
| თბილისში მოდის | | 6. 30 |
| ქუთაისიდან | № 12 | 11. 47 |
| თბილისში მოდის | | 9. 30 |
| ბათომიდან ჩქარი | № 6 | 11. 00 |
| თბილისში მოდის | | 12. 12 |
| ბათომიდან | № 8 | 3. 50 |
| თბილისში მოდის | | 7. 44 |
| ფოთიდან | № 4 | 8. 25 |
| თბილისში მოდის | | 7. 47 |
| თელავიდან | | 7. 00 |
| სანაინიდან | | 11. 30 |
| სალ-ოღლიდან | | 4. 25 |

## ფორტეპიანის კლასი

# ია. ლ. პორტუგალოვის

მოწაფეთა მიღება ყოველდღე 12—3 და 5—7-დის. ველიამინოვის ქ. № 3 ქალაქის თვითმართველობის გვერდზე.
10—3130—9

## ს ა ჭ ი რ ო ა

# მოსამსახურე ქალი.

მოიკითხეთ ,,საქართველოს'' კანტორაში. 4—7—

# სპ. კედიას სიტყვა დამფუძნებელ კრებაში

(ბიუჯეტის გარჩევის დროს).

(იხ. ,,საქართველო'' №№ 113—114)

ხოლო თამბაქოს წარმოების მაშინდელი მდგომარეობის მიუდგომელი შესწავლა ყველა ამ შემთხვევაში აუცილებლს ყოფდა მუშათა რიცხვის შემცირებას. მაგრამ მწარმოებელი მაინც იძულებული გახადეს შეენახა ზედ-მეტი მუშა ხელი, რომელსაც მის ქარხანაში სამუშაო მასალა არა ჰქონდა და გულხელ დაკრებილი იჯდა. ასე აცხოვრებდნენ, ქვეყნის მეურნეობის საზარალოდ, უქმად მყოფ მუშებს მრეწველის და წარმოების ხარჯზე. ეს არის ძალით წახდენა ეკონომიური ცხოვრების უდიდესი შემოქმედი ძალისა—მრეწველისა და კაპიტალისა. ეს ოპერაცია მარტო კერძო მრეწველს კი არ სპობს, არამედ მას მოაქვს მთელი ჩვენი ქვეყნის ნივთიერი და სულიერი კულტურულის შეუყენება განადგურება.

ამას გარდა, ამ რევოლიუციის ხანაში შემჩნეული იყო ერთის მხრით მუშათა ხელ-ფასის ზრდა და მეორეს მხრით, მუშის წარმოებითი ნაყოფიერობის შემცირება. 1917 წლის დასაწყისში—მე ყოფილის სახეში მაქვს თამბაქოს ქარხნის მუშა—მუშა თვიურად საშუალოდ იღებდა 45 მან.; 1918 წლის დასაწყისში—390 მ., 1919 წლის დასაწყისში—970 მ. ბოლო დროს, 1920 წლის დასაწყისში—3200 მან. თვიურად, ე. ი. 1917 წლის იანვრიდან 1920 წლის იანვრამდე ხელ ფასი გაიზარდა 70 ჯერ და ამავე დროს განმავლობაში შრომის ინტენსიობა 43 პროც. დაეცა. ამ მოვლენაში წილი უდევს ტეხნიკური ხასიათის პირობებსაც. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ მუშის შრომის ნაყოფიერობა კლებულობს.

აი მაგ. 1916 წელში მუშას წლიურად საშუალოდ უწევდა 2771 გირვანქა გადამუშავებული ფოთოლი თამბაქო, 1919 წელში კი იგივე მუშა ამუშავებდა —1368 გირვანქას. ასე რომ თამბაქოს ქარხნებში დღეს მუშა ნახევარ ენერგიას იძლევა და 70 ჯერ მეტ ხელფასს ღებულობს. ამგვარად, დავადგინეთ წარუხოცელი ფაქტი. შრომის ნაყოფიერების ძალზედ დაცემა და მუშათა ხელფასის დიდი ზრდა. გეკითხებით, რა წარმოება იხეირებს ასეთ პირობებში? ან ქვეყანა როგორც იარსებებს.

ეხლა საინტერესოა ის, თუ ეს შრომის ხელფასი რამდენი პროცენტით შედის ნაწარმოების ერთეულში: 1916 წ. შრომის ხელ-ფასი ათას ცალ პაპიროსზე უდრიდა 50 კაპ.; 1917 წელს—2 მან. 1918 წელს—10 მან., 1919 წ.—40 მ., 1920 წლისათვის გამოთვლილია დახლოვებით 180 მან., მაგრამ სინამდვილე ამ უკანასკნელ ციფრს გადააჭარბებს.

ეხლა ვნახოთ, შრომის ხელ-ფასი თუ რამდენ პროცენტს შეადგენს ნაწარმოების საერთო ღირებულებაში. თუ ნაწარმოების ღირებულება ციფრი—ასით გამოვსთქვით, დავინახავთ, რომ 1916 წ. შრომის ხელ-ფასი შეადგენდა ნაწარმოების ღირებულების—19 პროცენტს, 1917 წელს—23 პროცენტს, 1918 წ—33 პროცენტს, 1919 წ.—40 პროცენტს, 1920 წ. 50 პროც. ამნაირად, საგნის თვით ღირებულებაში მუშის ხელ-ფასი უჭირავს მთელი ღირებულების ნახევარი. ბ-ნო, ეხლა ვნახოთ სააქციზო გადასახადი.

თამბაქოზე სააქციზო გადასახადი შემოვიღეთ. არ იკითხავთ როგორ მოიქცა ამ შემთხვევაში ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო, ან მთავრობა: ან დამფუძნებელი კრება და რამდენად დაიცვეს მათ თამბაქოს ეროვნული მრეწველობა! ეს მეტად საინტერესოა და მეც ამაზე ცოტახნით შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.

მე ავიღებ სააქციზო გადასახადს აზერბეიჯანსა და საქართველოში და ერთი მეორეს შევადარებ, თანაც მოგახსენებთ რომ ერთსა და იმავე დროს საქართველოში ეცემოდა თამბაქოს წარმოება, ხოლო აღერბეიჯანში იგი მატულობდა. და ამ მოვლენაში წილი უდევს სააქციზო გადასახადებს, ერთსა და იმავე უმაღლესი ხარისხის ას პაპიროსზე, 1000 ცალზე, ბაქოში იყო 16 მან. ბანდეროლის ფასი, ჩვენში—100 მან. იმავე რაოდენობის უმაღლესი ხარისხის ბ-ზე ბაქოში—12, ჩვენში—30. უმაღლეს ხარისხის ა ს ერთ გირვანქა თამბაქოზე, ბაქოში—10 მან. ჩვენში 64 მან. განსხვავება აშკარაა. ამ განსხვავებამ კონკურენციის პროცესში ჩვენი ნაწარმოები დააზიანა.

თქვენ იცით, რომ მთავრობამ გატანილ სავალიუტო საქონელზე შემოიღო ერთგვარი წესი: სავალიუტო საქონლის გატანის უფლების მისაღებად საჭირო იყო მისი ღირებულების 30 პროცენტის წინდაწინ სამინისტროში შემოტანა,—იმის გარანტიად, რომ სამაგიერო საქონელი საქართველოში შემოტანილი იქნებოდა. მაგრამ ეს სამაგიერო ხშირად არ შემოქონდათ, ხოლო ეს 30 პროც. გაყიდვის დროს ზედ ეკეცებოდა ჩვენი გატანილი თამბაქოს ღირებულებას. რომ ვიანგარიშოთ ბანდეროლი, ხსენებული 30 პროც., გზის ხარჯი, აზერბეიჯანის საბაჟოს ხარჯი იქ ბანდეროლის გადაკვრის ხარჯი და აგრეთვე სხვა ხარჯები, გამოდის, რომ 1000 ცალი პაპიროსი, რომელიც საქართველოში უბანდეროლოდ ღირდა 150 მან., და აღერბეიჯანში შეტანის შემდეგ ფასობდა 375 მანეთი, მაშინ როცა აღერბეიჯანში დამზადებული იმდენივე პაპიროსი და იმავე ხარისხის ღირდა 180 მან. ასე რომ, საქართველოდან გატანილი 1000 ცალი პაპიროსი გაცილებით უფრო ძვირი იყო, ვიდრე იქ დამზადებული. აზერბეიჯანის ქარხნებისათვის უფრო ხელსაყრელი იყო თამბაქოც ბათომიდან წამოეღოთ, გადაეხადათ გადაზიდვის ფული და პაპიროსები ბაქოში დაემზადებიათ ვიდრე ს ქართველოდან გაეტანათ. ამ პირობებში ჩვენ თამბაქოს წარმოება თან და თან მცირდება.

თ. ღლონტი (ადგილიდან) სადაური თამბაქო იყო ადერბეიჯანში?

სპ. კედია—ადერბეიჯანში საკუთარი თამბაქოც არის, თუმცა ძალიან მცირე. მაგალითად როცა საქართველოში 1914 წელს მოკრიფეს 800.000 ფუთზე მეტი, განჯისა და ბაქოს გუბერნიებში 1914 წ. მოვიდა 45 ათასი ფუთზე ცოტათი მეტი.

მე მოგახსენებთ რომ ჩვენი მთავრობის ღონის ძიებამ შეამცირა ჩვენი წარმოება. თბილისის ქარხნებში 1918 წ. თვიურად საღდებოდა 92.570 ცალი პაპიროსი, 1919 წელს კი თვეში 96673 პაპიროსი. ჩვენში ზოგმა ქარხანამ მუშაობა შესწყვიტა, ზოგმა შეამცირა, გაჩნდა ერთი ორი პატარა ქარხანა სადაც მუშაობა ხელით წარმოებს. ტეხნიკურად გამართული და მანქანით მომუშავე ქარხნების ხარჯზე ხელით სამუშაო პატარ-პატარა ქარხნების გაჩენა—მრეწველობის გაჩანაგებას ნიშნავს. აზერბეიჯანში ხდება სულ წინააღმდეგი გავლენა. იქ ქარხნებმა იბარტყეს, გაჩნდენ ახალი ქარხნები განჯაში, ნუხაში, ბაქოში. წვრილი ქარხნების გარდა, ბაქოში მუშაობდნენ დიდი ქარხნები, მირზაბეკოვისა, სადაც წყებად 400 მუშა მუშაობდა, ამ ქარხანაში 1917 წ. დაამუშავეს 15000 ფუთი, 1919 წელს დაიმუშავეს 90.000 ფუთზე მეტი. თქვენთვის აშკარაა ჩვენი წარმოების დაცემა, და აზერბეიჯანის წარმოების წარმატება.

ეხლა დავინახოთ რო ურთიერთობაშია ბანდეროლი და ფასი.

თ. ღლონტი (ადგილიდან) სპეციალისტი გახდით?

სპ. კედია დიახ, ბ ნო, სხვასაც შეუძლიან თქვენის სპეციალობის შეთვისება უმაღლესი ხარისხის ა-ს ერთი გირვანქა თამბაქოს აქვს ბანდეროლის ფასი 64 მან. და იყიდება თავისუფალ ფასებში უმაღლესი ხარისხის ბანდეროლი ღირს 20 მან. და იყიდება 40 მან.

100 ცალი უმაღლესი ხარისხის ა-ს პაპიროსის ბანდეროლი ღირს ჩვენში 10 მან. ხარისხი ბ-ს 3 მ.

პირველი იყიდება თავისუფალ ფასებში და მექარხნეც თავის ზარალს რამოდენიმეთ აქედან ინაზღაურებს: მეორეს ფასი დადგენილია—6 მანეთი და ამაზე ძვირად მექარხნეს არ შეუძლია მისი გაყიდვა. ხოლო მისი ბანდეროლი, როგორც დაინახეთ, ღირს 3 მანეთი; 6 მანეთიდან 3 მან. ბანდეროლს მიაქვს, დარჩენილმა 3 მანეთმა უნდა დაფაროს მასალაც, მუშის ხელფასიც და სხვა ხარჯები! განვაგრძოთ. ასი ცალი პირველი ხარისხის პაპიროსის ბანდეროლი ღირს 2 მან 50 კ. მისი გაყიდვის ფასია 5 მ. 50 კ., მეორე ხარისხის თამბაქოს ბანდეროლი ღირს 1 მ. 84 კ. ხოლო მისი გაყიდვის ფასი არის ,,4 მ. 50 კ.'' ბანდეროლი მესამე ხარისხისა თამბაქოს, რომელსაც უფრო დემოკრატიაში აქვს გასავალი, ღირს 1 მ. 50 კ. მისი გაყიდვის ფასია 3 მ, 50 კ.

ამ გვარად, თქვენ ხედავთ, რომ მესამე ხარისხის თამბაქოს ბანდეროლს მიაქვს 1 მ. 50 კ., თვით კი ღირს 3 მ. 50 კ.

(თ. ღლონტი: რამდენს იღებს მექარხნე?) მექარხნეს არ აქვს უფლება მეტად გაყიდოს. ასე რომ, 50 პროც. ამ თამბაქოს ღირებულებისა აქციზს მიაქვს. ეს სააქციზო გადასახადი დავაწესეთ 1919 წ. 31 ივლისს; ხოლო ეს მტკიცე ფასები პაპიროსებსა და თამბაქოზე დავაწესეთ 1918 წ. ამ გვარად, ჩვენ ანგარიში არ გაუწიეთ იმას, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში ძალიან შეიცვალა სხვა საგნებისა და თამბაქოს ფასი რომ გაიზარდა მუშის ხელ ფასი, რომ იმატა, ქაღალდის ფასმა. ასეთ პირობებში ნუ თუ მოსალოდნელი არ უნდა ყოფილიყო რომ მთავრობა და დამფუძნებელი კრება, თუ ისინი დაინტერესებული იყვნენ თამბაქოს წარმოების ბედით, ასწევდნენ გაყიდვის ფასებს. მაგრამ მმართველი ორგანოები არ ფიქრობენ ჩვენი ეროვნული წარმოების კეთილ დღეობაზე.

ეხლა ვნახოთ; თუ რა ნაწილი უჭირავს ცარიელი გილზის ფასს,

100 ცალი ცარიელი გილზა ღირს 10 მან; ხოლო თუ ზედ დავაკეცეთ 30 პროცენტიანი სააქციზო გადასახადიც რაიც ახლო მომავალშია განზრახული, მისი ფასი 18 მანეთამდე აიწევს:

ამავ დროს ეს 100 ცალი გილზი სხვა და სხვა მანქანაში გატარებული და გატენილი თამბაქოთი, ღირს 2 მ.!

აქედან, ბ. ღლონტო, ცხადია ის მოგება, რომელიც რჩება მექარხნეს.

(ლორთქიფანიძე: როგორ, ასი ცალი 2 მანეთად?) დიახ! ვინაიდან 100 ცალი პაპიროსი მესამე ხარისხისა ბაზარზე სავალდებულო უნდა გაიყიდოს 3 მ. 60 კ. მარტო ბანდეროლში კი უნდა გადახდეს 1. 50 კ. მაშასადამე ამ ასი ცალი პაპიროსისათვის საჭირო ნედლი მასალის, შრომის ხელფასის, სხვა საწარმოვო მასალისა და სხვა-და სხვა სავაჭრო ხარჯების დასაფარავად რჩება 2 მ. 10 კ. ამ გვარად ცარიელი 100 გილზის გაყიდვა ბევრად უფრო ხელსაყრელია მექარხნისათვის, ვიდრე ასი ცალი პაპიროზის. მოკლედ ცარიელი გილზი მეტი ფასობს, ვიდრე გილზი თამბაქოთ გატენილი!! აი ეს არის თქვენი სოციალისტების, ეკონომიური შემოქმედება!

ასეთია მდგომარეობა თამბაქოს წარმოებაში. თუ ჩვენ ყურადღება არ მივაქციეთ ამ გარემოებას და დროზედ არ უწამლეთ, თამბაქოს წარმოებას სრული განადგურება მოელის. (ხმა ადგილიდან: რამდენი ქარხანა დაიკეტა?) იქნებ მეტიც გაიხსნა, ვიდრე დაიკეტა, მაგრამ მე მოგახსენეთ, რომ დაიშალა ტეხნიკურად გაუმჯობესებული და მოწესრიგებული წარმოება და იმრავლა საშინლათ ხელთა წარმოებამ. საერთოდ წარმოებამ იკლო და განადგურებას დაადგა.

(თ. ღლ ნტ :) სადაური ეკონომიაა?!)

სპ. კედია. მე ფაქტს მოგახსენებთ. თუ ყველა ის ცნობები, რომელიც მე მაქვს და რომელიც შედეგია სპეციალური შესწავლისა, რომელსაც საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ხელმძღვანელობს, სწორი და მართალი ცნობებია, მაშინ დამეთანხმებით, რომ თამბაქოს წარმოება დიდ განსაცდელში ყოფილა ჩავარდნილი და ეს მოხდა ყველა იმ პასუხისმგებელი ორგანოების მეოხებით, რომელნიც ჰქმნიან ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკას. ჩვენი წარმოება დაეცა. და ამავე დროს იმატა აზერბეიჯანის წარმოებამ. სხვადასხვა პოლიტიკამ სხვადასხვა ნაყოფი მოიტანა. (თ. ღლონტი: ალშიბაიას მოკითხეთ!) აბა, რა ალშიბაიას საქმეა ესა! სხვა წარმოებაშიც ასეთი მდგომარეობაა, მაგრამ მე იმათ არ შევეხები. და საილუსტრაციოდ ესეც საკმარისია, რაცა ვსთქვით. ბ-ნო თუ ჩვენ გვინდა ჩვენი წარმოების განვითარება და ჩვენი სავაჭრო ბალანსის გამოსწორება ცხადია, ჩვენ უნდა შევცვალოთ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა, ჩვენი სისტემა ეკონომიური საქმიანობისა. ჩვენ ვალდებულნი ვართ წარმოების ორივე აგენტის ინტერესი დავიცვათ, როგორც მრეწველის ისე მუშების, თუ გვინდა მივსცეთ სწორი განვითარების საშუალება ჩვენს ეროვნულ ეკონომიკას. ჩვენ კი სასიკვდილოდ ვაზიანებთ მრეწველის ინტერესს და გადაჭარბებულად ვიცავთ მუშისას. დღეს აშკარაა რომ ეს გადაჭარბებული დაცვა, საზიანო და მომაკვდინებელი, არა მარტო მრეწველისათვის, არამედ მუშებისათვისაც და ბოლოს მთელი ქვეყნისთვისაც.

(დასასრული იქნება).